ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

24 იანვრიდან!
„ახალი თაობა“+
ლაშა იმედაშვილი
პატრიარქის ზაფხული
წიგნი და გაზეთი ერთად 1 ლარი




სამშაბათი, 24 იანვარი, 2012 №19 (5709) ფასი: 30 თეთრი

# გია თორთლაძე: „სააკაშვილი უნდა გადადგეს და ნაციონალების სიას ჩაუდგეს სათავეში“



გვ. 3

მიხეილ სააკაშვილის ინტერესში, საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე ამოწურვაზე მეტად, მისი პარტიის გამარჯვება შედის, რაც თავისთავად არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილი გადადგეს და პარტიის საარჩევნო სიას ჩაუდგეს სათავეში.



## ხელისუფლება ბიზნესმენებს კონფიდენციალურ ინფორმაციას სძალავს

რატომ გაიქცევიან საქართველოდან უცხოელი ინვესტორები

გვ. 4



## ნიკოლაიშვილს პრემიერად ნიშნავენ, კარბელაშვილს სამინისტროს უქმნიან

გვ. 3





გვ. 2

## ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილმა ირაკლი ალასანიას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა“



გვ. 2

## ივანიშვილი „ეროვნულ ფორუმს“ შლის?

## პუტინი სააკაშვილს იდეებს ჰპარავს?

გვ. 5

გვ. 7

## ნინო კალანდაძე: „თურქეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს არ გაამკაცრებს“



„ახალი თაობა“+
ამუნდსენი
8 ლარი
18 იანვრიდან




ISSN 1987-9385

4 როგორ იჩაგრება ბიძინა ივანიშვილი
„ქართულმა ოცნებამ“ დიპლომატებს პოლიტიკური დევნის აშკარა მაგალითი წარუდგინა

5 მამუკა გიორგაძე: „დროა, ივანიშვილმა თავად მიიღოს გადაწყვეტილებები“

6 დაანებეთ პრესას თავი!

7 კუკავა პუტინთან მოლაპარაკებებს ითხოვს

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილმა ირაკლი ალასანიას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა“

„ჩვენი პარტიისა და სახალხო კრების სახელით მინდა გითხრათ, რომ ჩვენი გეგმები არ შეცვლილა, ქვეყანაში რეალობა შეიცვალა, მნიშვნელოვანი ძალა გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ ხელისუფლებაში ისევ სააკაშვილი რჩება. დემოკრატიული თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, სოციალურ–ეკონომიკური ვითარებაც იგივეა, საგარეო თვალსაზრისითაც ყველაფერი უცვლელია. ჩვენი ამოცანაა — მოხდეს ამ ხელისუფლების ჩანაცვლება კი არა, არამედ შეცვლა, უმტკივნეულოდ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება აუცილებელია, მაგრამ რეჟიმი ყველა ნიშანს გვაძლევს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულად არ ჩატარდეს“, — ასე დაიწყო თავისი პრესკონფერენცია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.


ნინო ბურჯანაძე

თამარ ნინიძე

მისი აზრით, სიტუაცია უნდა გადაწყდეს ისევე, როგორც ეს 2003 წელს იყო, პოლიცია იყო კორუმპირებული, მაგრამ არ ყოფილა ისე პოლიტიზირებული, როგორც დღეს არის; მედიაც რეალურად იყო დამოუკიდებელი, რეალური ბრძოლაა საჭირო და არა იმის განცხადება, რომ ცვლი საარჩევნო კოდექსს და სინამდვილეში არ ცვლი არაფერს. ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ კონტროლის პალატას არაფერი ესაქმება პოლიტიკური პარტიების შემოწმებასთან და ეს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია.

„ამაზე მეტი ცინიზმი სად გინახავთ, პარტიებს ის უწყება ამოწმებდეს, რომელსაც საბიუჯეტო ხარჯების შემოწმება ევალება. ეს იგივეა, შაშკინი რომ დანიშნეს პენიტენციალური სისტემის მინისტრად და პარალელურად პარტიებთან მოლაპარაკებების ფუნქცია მიანიჭეს. დღეს, გადატანითი მნიშვნელობით, ხელჩართული ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით, ასევე ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით. თუ ეს დინამიკა გაგრძელდება, გარწმუნებთ, ოპოზიციას არჩევნები არჩევნებამდე ექნება წაგებული“, — აცხადებს ბურჯანაძე.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ფიქრობს, რომ არანაირი პრობლემა არ არის, თუ ის ვერ შეხვდება ბიძინა ივანიშვილს. მისი აზრით, თუ პარლამენტში მეორე ადგილისთვის იქნება ბრძოლა, მაშინ ამ კონსულტაციებს აზრი არ ექნება. ბურჯანაძის აზრით, თუ ვინმეს რეალობის შეცვლა სურს, ყველა პარტიასთან უნდა გამართოს კონსულტაციები. მედიამ კომენტარი ბურჯანაძეს ალასანიას გამონათქვამებზე სთხოვა. კერძოდ, ალასანიამ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სურს ბურჯანაძესთან შეხვედრა და პარტიის ლიდერი იმისთვის არ უნდა ილვწოდეს, რომ ხეირი ნახოს. ამაზე ბურჯანაძე ალასანიას პასუხობს, რომ ის ხეირს კი არ ელოდება, არამედ ქვეყნის გადასარჩენად არის პოლიტიკაში.

„ამ შეხვედრის წინააღმდეგი ისინი არიან, კონკურენციის ეშინიათ, ნუ ღელავენ, ახლა კონკურენციის დრო არ არის. არ მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ბატონი ბიძინა ვინმეს პროექტია, ვინ რატომ არის ამ კოალიციაში შესული, ამაზე არ ვიმარჩიელებ, ვიღაც პოლიტიკოსების ქვეცნობიერში ხეირი მნიშვნელოვანი სიტყვაა, ძალიან დამავალებთ, თუ ალასანიაზე ბევრს აღარ მალაპარაკებთ“, — სთხოვა ბურჯანაძემ ჟურნალისტებს. მიუხედავად ამ თხოვნისა, ალასანია–ბურჯანაძის დაპირისპირებაზე კითხვები მართლაც საკმაოდ ბევრი იყო, „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე და „სახალხო კრების“ ერთ–ერთი ლიდერი ბურჯანაძე ურჩევს ალასანიას, გაერკვეს ვინ არის ბოლოს და ბოლოს მისი ნამდვილი პრობლემა - სააკაშვილი თუ ბურჯანაძე. ბურჯანაძე ეკითხება ალასანიას, რატომ ასწორებს ხოლმე ალასანია ყოველი ახალი ინტერვიუს დროს წინა ინტერვიუებში ნათქვამს, რატომ დათანხმდა ადგილობრივ არჩევნებს, მაშინ, როცა სააკაშვილის გადადგომას ქუჩაში ასი ათასობით ადამიანი ითხოვდა, რატომ მიულოცა გაყალბებული არჩევნები უგულავასა და სააკაშვილს, რატომ გადაკოცნა და ჩამოართვა ხელი, რატომ არის შესაძლებელი მოლაპარაკებები ბოკერიასთან და ა.შ. ბურჯანაძეს უკვირს, რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ალასანიას ბოკერიასთან, ამ, მისი თქმით, დიქტატორული რეჟიმის მთავარ იდეოლოგთან და ყველა დრაკონული კანონის ავტორთან. მიშა–2–ის ტერმინით რომ ლაპარაკობს ალასანია და ამბობს, ახალი თაობის დროა პოლიტიკაში და არა ასაკოვანი ხალხისო. ბურჯანაძემ იქვე დასძინა, რომ ის თავს ასაკოვნად სულაც არ თვლის.

„ალასანიას ხელი უკანკალებდა, მიშა სააკაშვილს როცა ელაპარაკებოდა. გაიხსენოს ის უშიშროების საბჭოს სხდომა ალასანიამ, სადაც მას სააკაშვილმა საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა, ალასანიამ კი პასუხის გაცემა ვერ გაბედა. ახლა ალასანია ამბობს, ბურჯანაძეს ვსაყვედურობდიო, როგორ გამიბედავდა საყვედურის თქმას, როცა მასთან მე ასეთი ურთიერთობა არ მქონია“, — ამბობს ბურჯანაძე.

კითხვაზე, თუ ბურჯანაძისა და ივანიშვილის შეხვედრა ვერ მოხერხდება, ხომ არ თვლის, რომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება, ბურჯანაძე ასე პასუხობს: „ბურჯანაძე არ და ვერ დარჩება თამაშგარე მდგომარეობაში“.

მესამე პოლუსის შექმნაზე კუკავასთან და გაჩეჩილაძესთან მოლაპარაკებებზე ბურჯანაძე აცხადებს, რომ ლევან გაჩეჩილაძესთან არანაირი კონსულტაციები არა აქვს, კუკავას რაც შეეხება, პატივს სცემს კუკავას იმის გამო, რომ 26 მაისის დარბევა დაგმო, რაც შეეხება მესამე პოლუსის შექმნას, ბურჯანაძე აცხადებს, რომ „მესამე პოლუსად არ მოვიაზრებით, სახალხო კრება არის პირველი პოლიტიკური ცენტრი სააკაშვილთან ბრძოლაში და მარტოც რომ დავრჩეთ, ყველა შემთხვევაში გავაგრძელებთ ამ ბრძოლას“.

საინტერესო იყო შეკითხვა, ივანიშვილის მსგავსი ფინანსური რესურსები რომ ბურჯანაძეს ჰქონოდა, თვლის თუ არა, რომ ის ყველა პარტია მასთან იქნებოდა, ის პასუხობს, რომ ასეთი რესურსებით რომ ყოფილიყო, დღეს სააკაშვილი ხელისუფლებაში არ იქნებოდა, ის პარტიები კი დიდი ალბათობით მის გვერდით აღმოჩნდებოდნენ. ბურჯანაძე ისევ ალასანიას ურჩევს, ნუ ილაპარაკებს – სააკაშვილი ცუდია და ბოკერიაა კარგი. მისი აზრით, ყველა გადაწყვეტილება ხელისუფლებაში ბოკერიასგან მოდის.

ბურჯანაძე ასეთი საარჩევნო კოდექსის პირობებში არჩევნებში მონაწილეობას უაზრობად მიიჩნევს. „ეს კოდექსი არ მოსწონს მთელ მსოფლიოს, სააკაშვილის სატელიტი პარტიებიც კი აკრიტიკებენ მას, დამერწმუნეთ, ეს ყველაფერი აუცილებლად ქუჩის აქციებამდე მივა. ჩვენ შევქმენით პოლიტიკური პარტია და არა დივიზია და ბატალიონი, გვინდა არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ არა ასეთი კოდექსის პირობებში“, — განაცხადა ბურჯანაძემ. ბოლოს კი ქალბატონმა ნინომ თავი პელეს შეადარა. ჟურნალისტებს სთხოვა წარმოედგინათ მინდორზე ერთმანეთის პირისპირ საშუალო დონის რაგბისტების ნაკრები და მაღალი დონის ფეხბურთელების ნაკრები პელეს მეთაურობით. როგორ გგონიათ, რომელი მოიგებს ამ ბრძოლას? რა თქმა უნდა, რაგბის ნაკრები. ასეა აქაც, ხელისუფლება რაგბის ნაკრებია, პელე ითამაშებდა რაგბის მეთოდებით? ვერა, მეც ვერ ვითამაშებ რაგბის მეთოდებით მებრძოლ ხელისუფლებასთანო, განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

# ივანიშვილი „ეროვნულ ფორუმს“ შლის?

თამარ ნინიძე

ბიძინა ივანიშვილი პარტიებს შლის და ყლაპავს. ყველაზე ცხელი ცნობა „ეროვნული ფორუმიდან“ მოდის. ბექდური მედია იუწყება, რომ ფორუმსა და „ქართულ ოცნებას“ შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, უფრო ზუსტად კი, „ქართული ოცნება“ და საკუთრივ ბიძინა ივანიშვილი პირობებს თავად აყენებს. ფორუმიდან სამი ლიდერი - შარტავა, სანიკიძე და შავიშვილი „ქართულ ოცნებაში“ უნდა გადავიდნენ ანუ ივანიშვილის კოალიცია სამსუბიექტიან გაერთიანებად რჩება. „ქართული ოცნება“ კი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიებიდან ძირითად გამწევ ძალებს აგროვებს, ძიძიგური და დავითაშვილი ქართულ ოცნებას შეერწყნენ, ლეიბორისტებისგან ნესტან კირთაძე წავიდა და არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ე.წ. „ენჯეოს“ არსებობით ივანიშვილია დაინტერესებული. პრობლემები ივანიშვილმა „ქართულ პარტიასაც“ შეუქმნა და ამ პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარი გადაიბირა. პარტიების შთანთქმის პროცესი, როგორც ჩანს, გრძელდება. ახლა, სამწუხაროდ, ფორუმის რიგი დგას. არადა, ეს პარტია, სხვათა შორის, რესპუბლიკელებისა არ იყოს, ინტელექტუალთა გაერთიანებად იყო ცნობილი. ძლიერი და საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანების შესანიშნავი კრებულია, მასზე წარსულ დროში საუბარი საკმაოდ რთულია. ამიტომ, არც ვისაუბრებთ, რადგან დაშლა-არდაშლის თემა მხოლოდ ცალკეული გამოცემის ვარაუდებია. ჩვენ მხოლოდ სურვილი გვაქვს, ქართულმა ოპოზიციამ სახე არ დაკარგოს და თავი შეინარჩუნოს დამოუკიდებელ სუბიექტებად.


ბიძინა ივანიშვილი

თავის დროზე „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში დაადასტურა თავისი მოსაზრება, რომ ივანიშვილი პარტიების ნაწილს აფინანსებს და, შესაბამისად, ამით აძლიერებს კიდეც, დანარჩენებს კი — უბრალოდ, კლავს. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია უკვე სახიფათო ფორმას იღებს.

ერთ–ერთმა პოლიტიკოსმა ჩემთან კერძო საუბარში ხუმრობით ორი საინტერესო ვარაუდი გამოთქვა: 1. ივანიშვილი „ფსბ-ზე“ მუშაობს და „ფსბ“ ველარ აუდის ქართული ოპოზიციის დაფინანსებას და მადას, ამიტომ პარტიების გამსხვილებით ცდილობს თავი ზედმეტი ხარჯებისგან იხსნას; 2. ივანიშვილი და სააკაშვილი შეკრულები არიან და ვინ, ვინ და სწორედ სააკაშვილია დაინტერესებული ოპოზიციის დაშლით. ამიტომაც „ჩალიჩობს“ ივანიშვილი ძლიერი პარტიების დასუსტებასა და ჩაყლაპვაზე, რომ მერე ცალკეული პოლიტიკოსები იოლად მართოს და აკონტროლოს „მტერი ახლოს უნდა გყავდეს“ პრინციპით. საინტერესო და საგულისხმო ვარაუდებია თუ ბოლოდროინდელ პროცესებს გავითვალისწინებთ.

კარგი იქნება, თუ ეროვნული ფორუმი შენარჩუნდება, თუმცა ცალკე მას ძალიან გაუჭირდება არჩევნებში მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ დაფინანსების წყაროები ხელისუფლებამ პარტიებს გადაუკეტა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გამო ბევრი აქტიური და ძლიერი ძალა იძულებული გახდა ფინანსების მოსაპოვებლად მსხვერპლზე წავიდეს. თუ ახლო მომავალში დადასტურდება ხმები „ეროვნული ფორუმის“ დაშლის შესახებ, მაშინ გამოდის, რომ ფორუმმა სწორედ ეს მსხვერპლი გაიღო.

## სასამართლომ ეროსი კიწმარიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა



ეროსი კიწმარიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლომ ეროსი კიწმარიშვილის „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ მოთხოვნა შპს „იგრიკას“ დაყადაღებასთან დაკავშირებით, არ დააკმაყოფილა.

მოსმართლემ მიიჩნია, რომ „იგრიკა“ შპს „აქცეპტის“ კუთვნილებაშია და ამ კომპანიას „მაესტროს“ გენერალურ დირექტორ ბაჩო კიკაბიძესთან კავშირი არ აქვს.

როგორც ცნობილია, კიწმარიშვილის კომპანიამ „იგრიკას“ დაყადაღება პარასკევს მოითხოვა. კომპანია ამტკიცებდა, რომ სასამართლოში საქმის აღძვრისას „იგრიკა“ მოპასუხე ილია კიკაბიძის საკუთრებაში იმყოფებოდა, შესაბამისად ყადალა უნდა დადებოდა.

მედიანიუსი

## დავით ბაქრაძე რუმინეთის ელჩს დაემშვიდობა


დავით ბაქრაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე რუმინეთის ელჩს შეხვდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, დან მიჰაი ბარლიბას შეხვდა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ელჩს მადლობა გადაუხადა დიპლომატიური მოღვაწეობის პერიოდში გაწეული საქმიანობისთვის და საქართველოსა და რუმინეთს შორის ურთიერთობების განმტკიცებისათვის.

მედიანიუსი

## ქარმა ბათუმის ამფითეატრი დააზიანა

ძლიერმა ქარმა ბათუმის ახალ ბულვარში მდებარე ამფითეატრი დააზიანა. ქარმა საყრდენი ბოძები წააქცია, რამაც ამფითეატრის ჩამოშლა გამოიწვია.

ბულვარის ადმინისტრაციის განცხადებით, აღდგენითი სამუშაოები ამინდის გაუმჯობესებისთანავე დაიწყება.

„ძლიერი ქარის შედეგად ლითონის ბაგირი გამოვიდა მწყობრიდან. ექვემდებარება აწყობას, მაგრამ უამინდობის გამო ვართ გაჩერებული“, — განაცხადა ბათუმის ბულვარის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პაატა აცინბამ.

ამფითეატრი ბათუმის ზღვისპირა პარკში უკვე სამი წელია ფუნქციონირებს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გია თორთლაძე: „სააკაშვილი უნდა გადადგეს და ნაციონალების სიას ჩაუდგეს სათავეში“

თეა მარხვაიძე

**ექსპერტები და პოლიტიკოსები ეჭვობენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნაციონალების სიას სათავეში ჩაუდგება. ადრე პრეზიდენტს ამაზე შეიძლება არც კი ეფიქრა, მაგრამ ახლა სხვა დროა. ამიტომაც ნაცმოძს ლოკომოტივად სერიოზული კაცი სჭირდება. მიხეილ სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა არაფერია. ხალხის გარკვეულ ნაწილს ჩვენი ცელქი პრეზიდენტი ძალიან უყვარს და მისი ხათრით მმართველ გუნდს სიამოვნებით დაუჭერს მხარს.**

ხმები სააკაშვილის შესაძლო გადეპუტატების შესახებ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. სააკაშვილს პრეზიდენტად კენჭისყრა აღარ შეეძლება. სახლში წასვლა კი მას არ სურს. თავად აქვს ნათქვამი, სახლში დაჯდომას არ ვაპირებო. კონსტიტუციაში შესული ცვლილებების თანახმად, პრემიერის მომავალში საკმაოდ დიდი ძალაუფლების მატარებელი იქნება. სააკაშვილს კი ძალაუფლება უყვარს. ამიტომაც გაჩნდა ეჭვი, რომ მან თავისთვის შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში. ბევრი ითქვა იმაზე, რომ ის საპრემიეროდ ემზადებოდა.

თავიდან ოპოზიცია ამ ვერსიას სერიოზულად აწვებოდა. ახლა კი იმის მტკიცებაში არიან, რომ სააკაშვილი პარლამენტს უმიზნებს. ამბობენ, რომ ის პარლამენტის თავმჯდომარეობასაც უმიზნებს.

ეს ინფორმაცია „ახალ თაობასთან“ საუბარში ნაწილობრივ დაადასტურა უმრავლესობის წევრმა შოთა მალაშხიამ. სამაგიეროდ, ნუგზარ წიკლაურმა გადაიხსნა ვენები. ის ამტკიცებს, რომ სააკაშვილი 2013 წლამდე საქართველოს პირველი პირი იქნება.

ოპოზიციას კი განსხვავებული მოსაზრებები აქვს. გიორგი ცაგარეიშვილი ნაცმოძისგან ყველა სახის ხრიკს ელოდება.

ის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიის სათავეში ჩადგომის ალბათობას, პოლიტიკურად გარდაცვლილი გუნდის სხეულზე ელექტროშოკის მცდელობად აფასებს.

როგორც ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ნაციონალურ მოძრაობას და, შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს შედეგი არ აქვს გარანტირებული და, სავარაუდოდ, რისკზე არ უნდა წავიდეს.

– იქ, სადაც გაყალბების ან სხვა საშუალებებით სააკაშვილს შედეგი არ აქვს გარანტირებული, ჩემი აზრით, ამ ნაბიჯზე არ უნდა წავიდეს, რადგან დღევანდელი სიტუაცია მის სასარგებლოდ არ არის შეცვლილი. ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მათი სიის სათავეში მიხეილ სააკაშვილის ჩადგომა, მათი ერთადერთი გადარჩენის გზად მიაჩნიათ. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. მათ ჰგონიათ, რომ ნაციონალური მოძრაობის სიის სათავეში მიხეილ სააკაშვილის ჩადგომა, პოლიტიკურად გარდაცვლილი ნაციონალების სხეულზე ელექტროშოკი იქნება, – დასძინა ცაგარეიშვილმა.

მასვე მიაჩნია, რომ თუ საპარლამენტო არჩევნებისთვის სიის სათავეში ჩადგომის მიზნით მიხეილ სააკაშვილი გადადგება, ეს ძალიან დიდ გაუგებრობას და დომინოს პრინციპის ამოქმედებას გამოიწვევს, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკონსტიტუციო


ნუგზარ წიკლაური

რეფორმის ამოქმედება და ა.შ.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი მისივე საკონსტიტუციო ცვლილებების მძევალი აღმოჩნდა, რომელიც ბევრად უფრო ადრე განხორციელდა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა ასპარეზზე.

ცაგარეიშვილის თქმით, მაშინ სააკაშვილმა თავის სატელიტ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად ყველაფერი გააკეთა თავისი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად.

ახლა კი, დეპუტატის შეფასებისთვე, მიხეილ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის ბედისწერა და ერთგვარი „მაოხრებელი მკვდარი“ გახდა.

– ეს არის კაცი, რომელიც პოლიტიკურად გარდაცვლილი იქნება და ამის შემდეგ მაოხრებლის სახელით შევა მისი გუნდის ისტორიაში. ნაციონალური მოძრაობის ყველა წევრი წარსულის პოლიტიკოსია, – ამბობს ცაგარეიშვილი.

დეპუტატის თქმით, მისი გუნდის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ეს ნაციონალური მოძრაობა“ მის მეხოტბეებთან ერთად, რომლებიც სააკაშვილის კართან მანდატების თხოვნით ატუზულები დგანან, წარსულს ჩაბარდნენ.


გია თორთლაძე

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უფლებამოსილება 2013 წელს იწურება და მის უფლებამოსილებას სწორედ ამ ვადამდე შეასრულებს.

მისი თქმით, ექსპერტებს აქვთ უფლება, რომ ჰქონდეთ სხვადასხვა 'მოსაზრებები, მაგრამ ერთია ანალიტიკოსების და ექსპერტების მოსაზრებები და მეორე მიმდინარე პოლიტიკური პროცესი.

– ნებისმიერი სახის სპეკულაციები დადგენილ თარიღებამდე არასერიოზულია. პოლიტიკური პარტიები მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორსაც გარკვეულ პერიოდში საჭიროდ ჩათვლიან და წინასწარ შესაძლო ვერსიებზე საუბარი პოლიტიკოსებისთვის არასერიოზული იქნება, – აცხადებს წიკლაური.

დეპუტატის მტკიცებით,. მმართველ გუნდში არც საარჩევნო სიაზე და არც მაჟორიტარების შერჩევაზე არ საუბრობენ. ყოველშემთხვევაში, ასეთ საუბრებს თავად არ შესწრებია.

არადა ამბობენ, რომ მან შესაძლოა დუშეთის მაჟორიტარად იყაროს კენჭი. თუმცა ეს ამბავი საბოლოოდ მოგვარებული არ არის. დუშეთზე თვალი სხვა ნაციონალებსაც უჭირავთ. საბოლოო ჯამში, შესაძლოა, აქ პრაიმერი ჩაატარონ.

– საარჩევნო სიასა თუ მაჟორიტარობის კონკრეტულ კანდიდატებზე საუბარს, პირადად მე არ შევსწრებივარ. არჩევნები ჯერ არ არის ისე ახლოს, რომ ამაზე საუბარი უკვე მიმდინარეობდეს, – ამბობს დეპუტატი.

ამ დროს სხვა ნაციონალები ამტკიცებენ, რომ სიის გარშემო დიდი ალიაქოთია მმართველ გუნდში.

წიკლაურის განცხადებით კი, ნაციონალური მოძრაობის ყურადღება მიპყრობილია არა პერსონალიებზე, არამედ საგარეო პოლიტიკაზე, მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტზე, არ ალიარების პროცესის გაგრძელებაზე, რუსეთის მხრიდან საფრთხეებსა და ეკონომიკის განვითარების 10-პუნქტიან გეგმაზე.

ჟურნალისტებს წიკლაური სააკაშვილის სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა და ერს პირობა მისცა, რომ ის არც 2013 წლის შემდეგ წავა.

– სააკაშვილი 2013 წლის შემდეგაც შეასრულებს არსებითად მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ სისტემაში, რაც შესაბამისობაში იქნება კონსტიტუციასთან. როგორი იქნება სააკაშვილის კონკრეტული ნაბიჯები და გადაწყვეტილებები, ეს მისი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ და უშუალოდ მისი გადასაწყვეტი იქნება. ასეთი დინამიზმის პოლიტიკური ფიგურა, პოლიტიკური სცენიდან დისტანცირებული არ იქნება, – დასძინა წიკლაურმა.

საარჩევნო სიის დაკომპლექტებაზე მმართველ გუნდში დიდი ამბებია. გადამწყვეტი სიტყვა აქ სააკაშვილს ეკუთვნის. ამასთან გიგა ბოკერიაც და ვანო მერაბიშვილიც შეეცდებიან თავისი ხალხის გაყვანას.

სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ პოლიტიკაში ახალი ხალხი უნდა მოვიდეს. ასე რომ, გამორიცხული არაა სიაში სავსებით უცხო სახეები ჩასვან.

ისე, ამ მხრივ რამდენიმე ძველი დეპუტატიც გამოადგება. რამდენიმე ათეულ დეპუტატს ერი საერთოდ არ იცნობს და თავისუფლად შეიძლება მათი მეორე წრეზე გაშვება.

ნაციონალების სამზარეულოში კარგად არის ჩახედული გია თორთლაძე. „ინტერპრესნიუსის“

ცნობით, ის დარწმუნებულია, რომ საარჩევნო სიის სათავეში მიხეილ სააკაშვილის გარეშე არჩევნების მოგება ნაციონალურ მოძრაობას გაუჭირდება.

ამის შესახებ თორთლაძემ ჟურნალისტებს ექსპერტების მოსაზრებების კომენტირებისას განუცხადა, რომლებიც ვარაუდობენ, რომ სააკაშვილი შესაძლოა გადადგეს და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიას ჩაუდგეს სათავეში.

გია თორთლაძის განცხადებით, თუ 2012 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებისთვის სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიას ჩაუდგება სათავეში, ეს მისთვის მომგებიანი იქნება.

მისი თქმით, თუ სააკაშვილი მომავალში ან პრემიერ მინისტრობას აპირებს ან პარლამენტის თავმჯდომარეობას, მისი პარტიის გამარჯვება იქნება მისთვის უმთავრესი ამოცანა.

სააკაშვილის გარეშე კი, თორთლაძის შეფასებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში გამარჯვების მოპოვება გაუჭირდება, რადგან სხვა გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ.

თორთლაძის განცხადებითვე, „ნაციონალურ მოძრაობაში“ რომ ახალი ლიდერის გამოკვეთა ახლა დაიწყოს, ასეთ პროცესს ყოველთვის თან ახლავს ხოლმე უთანხმოებები და უსიამოვნებები და ეს მათვე არ უნდა აწყობდეთ.

ამიტომ, თორთლაძის აზრით, მიხეილ სააკაშვილის ინტერესში საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე ამოწურვაზე მეტად, მისი პარტიის გამარჯვება შედის, რაც თავისთავად არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილი გადადგეს და პარტიის საარჩევნო სიას ჩაუდგეს სათავეში.

# ნიკოლაიშვილს პრემიერად ნიშნავენ, კარბელაშვილს სამინისტროს უქმნიან

თეა მარხვაიძე

ჩვენს ტკბილ და მურაბა ხელისუფლებაში საკადრო კარუსელი კარგა ხანს აღარ დატრიალებულა. რამდენიმე მინისტრს კი შეუცვალეს თანამდებობა, მაგრამ ეს ძველ კარუსელებთან რა მოსატანია. არადა, რა ხშირად იცოდა ჩვენში ასეთმა კარუსელმა დატრიალება.

ხშირ შემთხვევაში სააკაშვილი ასეთ კარუსელებს ყურადღების გადასატანად ატრიალებდა ხოლმე. ყურადღების გადატანა მას ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციაში გადასვლამ მას ბევრი თავსატეხი გაუჩინა. პრეზიდენტმა ჯერ კარგად არ იცის, როგორ წავა საქმეები და აქამდე ამიტომაც იკავებდა თავს კარუსელისგან. რადგან ასეთი ცვლილებები მომავალში, შესაძლოა უფრო საჭირო გახდეს.

უკვე კარგა ხანია საუბრობენ იმაზე, რომ პრემიერის თანამდებობისთვის ახალ კაცს ეძებენ. უფრო ზუსტად, რამდენიმე კაცი ჰყავთ ნაპოვნი, მაგრამ სააკაშვილის კარზე არსებული ინტრიგების გამო არჩევანს ვერ აკეთებენ.

ნიკა გილაური, მოგეხსენებათ, რომ ვანო მერაბიშვილის კადრია. მას ეს პოსტი 2008 წლის დეკემბერში ჩააბარეს. მაშინ ამ პოსტზე გიგი უგულავას კანდიდატურაც განიხილებოდა. უგულავას ზურგს, მოგეხსენებათ, რომ გიგა ბოკერიას გუნდი უმაგრებდა.

თავიდან სასწორი მის მხარეზე გადაიხარა. მაგრამ ქვეყნის პირველი ყური რისი ვანო იქნებოდა, თავისი რომ არ გაეტანა. ჰოდა, პრემიერად თავისი კადრი გაიყვანა. არადა, ამ ქვეყანაში პრემიერს ბევრი არაფერი ეკითხება. როგორც ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი იტყოდა, ამ ქვეყანაში უმუშევარ კეზერაშვილს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე პრემიერ გილაურსო.

კეზერაშვილი ახლა უკვე დასაქმებულია. ის ოპერის მეგობარი და ბიზნესმენია. როგორც ამბობენ, რამდენიმე თვის წინ მისი აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაბრუნება იგეგმებოდა. ნაციონალების ერთი ჯგუფი ცდილობდა მის გაპრემიერებას. როგორც ამბობენ, მათ ამაში ხელი ვანო მერაბიშვილმა შეუშალა.

კულუარული ინფორმაციით, ის ამ პოსტზე რამაზ ნიკოლაიშვილის კანდიდატურას უჭერს მხარს. ამ იდეას საქართველოს პრეზიდენ-


გიორგი კარბელაშვილი

ტიც ეთანხმება თურმე. სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, ნიკოლაიშვილი ხალხში დიდი სიმპათიებით სარგებლობს. სხვა თუ არაფერი, ეს ადამიანი ყველგანაა, სადაც რაიმე ჭირს.

როგორც ამბობენ, მოსახლეობის გულის მოსაგებად მთავრობის მეთაურად ნიკოლაიშვილი დაინიშნებაო.

მმართველი გუნდი ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს. კულუარულ საუბრებში კი ამბობენ, რომ ამ თემაზე საუბარი დიდი ხანია მიდის. დატრიალდება თუ არა საკადრი კარუსელი, ეს მხოლოდ სააკაშვილზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი საავადმყოფოებს ხსნის და არაფერისთვის არ სცალია.

ამ დროს ვრცელდება ცნობა, რომ შესაძლოა საქართველოს კიდევ ერთი სამინისტრო შეემატოს, რომლის პირველი პირიც გიორგი კარბელაშვილი გახდება.

კარბელაშვილს დაწინაურება რომ ელოდა, ამაზე სომალის ამბების შემდეგ დაიწყო საუბარი.

სომალიში ის დატყვევებულ ქართველ მეზღვაურებთან დაკავშირებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ეს ამბავი სერიოზულად დააპიარეს. სწორედ მაშინ ითქვა, რომ მას სადღაც გადაიყვანდნენ.

გუშინ ინტერნეტგამოცემა „ტრიბუნა.გე“-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გიორგი კარბელაშვილისთვის პერსონალური სამინისტრო იქმნება. აქამდე კარბელაშვილს ვერა ქობალიას მოადგილის პოსტი ეკავა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქობალიას უწყებაში დიდი გადაადგილება განხორციელდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მინისტრის მოადგილეები გამოცვალეს. კერძოდ, ვერა ქობალიას სამი ახალი მოადგილე ეყოლება.

ესენია: პირველი მოადგილე ირაკლი მატკავა და ორი მოადგილე – ნათია მიქელაძე და მიხეილ ჯანელიძე. ინფორმაციას საკადრო ცვლილებების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ნათია მიქელაძე ბოლო პერიოდში საქართველოს ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრების მოადგილის თანამდებობებზე მუ-


რამაზ ნიკოლაიშვილი

შაობდა. მიხეილ ჯანელიძე კი, ეკონომიკის სამინისტროში, საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა.

„ტრიბუნამ“ სანდო წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა ინფრომაცია, რომლის თანახმადაც, ვერა ქობალიას უწყებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს, გიორგი კარბელაშვილს უკავშირდება.

„ტრიბუნას“ წყაროს ინფორმაციით, გიორგი კარბელაშვილს სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლების პროცესში მონაწილეობა დაუფასეს და ახალ სამინისტროს უხსნიან. საუბარია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს შექმნაზე, რომელსაც სწორედ გიორგი კარბელაშვილი უხელმძღვანელებს.

# როგორ იჩაგრება ბიძინა ივანიშვილი

## „ქართულმა ოცნებამ“ დიპლომატებს პოლიტიკური დევნის აშკარა მაგალითი წარუდგინა

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ როსტომ მეფის სასახლეში ვერა და ვერ განთავსდა. მოგეხსენებათ, ეს მოძრაობა ივანიშვილის მიერ რეაბილიტირებულ ამ შენობაში უნდა დაბინავებულიყო, თუმცა ერთ დღესაც, „ქართული ოცნების“ ხალხს კარი ცხვირწინ მიუხურეს. ივანიშვილის წარმომადგენლები დღემდე ცდილობენ, უკანონობა შეაჩერონ, თუმცა, ამაოდ. ამჯერად მათ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მოახსენეს, რა ვითარებაა როსტომ მეფის სასახლესთან დაკავშირებით.

— როსტომ მეფის სასახლე განკუთვნილია საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული



ოცნების“ საქმიანობისთვის და ეს გაცხადდა გასული წლის ნოემბრიდან. სწორედ ამას უკავშირდება ყველა იმ პრობლემის შექმნა, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ხელისუფლების დავალებით დაიწყეს, რათა არ დაეშვათ როსტომ მეფის სასახლით სარგებლობა. ამდენად, ეს ფაქტი იმას მეტყველებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას“. ეს პოლიტიკური დევნის აშკარა მაგალითია და ამის შესაჩერებლად ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო საზოგადოების აქტიური და ქმედითი თანადგომა, — განუცხადეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დიპლომატებს.

დიპკორპუსს ყველა ის ინფორმაცია და ფაქტი მიაწოდეს, რაც როსტომ მეფის სასახლესთან დაკავშირებით მიმდინარე დავების შესახებ აქვთ მოგროვებული. მათი ინფორმაციით, როსტომ მეფის სასახლე შპს „ახალ კაპიტალს“ ეკუთვნის, რომელიც „ქართუ ჯგუფში“ შემავალი კომპანიაა. როსტომ მეფის სასახლესთან დაკავშირებით ხელისუფლებამ 4 სახის უკანონო მოქმედება განახორციელა, კერძოდ: თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ჯერ როსტომ მეფის სასახლის მშენებლობა შეაჩერა და შემდეგ შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე თქვა უარი; თბილისის მერიამ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ალნაგობის უფლება გააუქმა; სასახლეში უკანონოდ შეიჭრნენ უცხო პირები, რომელთა გამოძევებაც პოლიციას ევალება, თუმცა პოლიცია არაფერს აკეთებს; სასახლის წინ ხის ღობე უკანონოდ აღმართეს.

თბილისში, ერეკლე მეორის მოედნის №3-ში მიმდინარე მშენებლობა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული დადგენილებით შეჩერდა. ივანიშვილის წარმომადგენლებმა სასამართლოში გასაჩივრებით ვერაფერს მიაღწიეს, სარჩელზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული. რამდენიმე სასამართლო დავის პარალელურად, შარშან, 8 ნოემბერს, არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად შენობის კორექტირებული პროექტი შეიტანეს. არქიტექტურის სამსახურმა აღნიშნა, რომ პროექტი მოიწონა, თუმცა, იმის გამო, რომ შენობის ნაწილი მერიის კუთვნილ მიწაზე გადადის, მერიის თანხმობაა საჭირო. ივანიშვილის წარმომადგენლებმა 3 იანვარს მერიას თანხმობისთვის მიმართეს, თუმცა ჯერჯერობით არც ეს პასუხი ჩანს.

— თბილისის თვითმმართველობამ შპს „ახალ კაპიტალს“ თბილისში, ერეკლე მეორის მოედნის №3-ის მიმდებარედ არსებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი ალნაგობის უფლებით გადასცა. ალნაგობით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვა გაიცა და სათანადო სამშენებლო სამუშაოები შესრულდა. თუმცა, შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, თბილისის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, ცალმხრივად გაუქმდა ალნაგობის უფლება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, რის გამოც შეუძლებელი გახდა შენობის ახალი პროექტის დამტკიცება. თვითმმართველობის მიერ მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში. განხილვა ჯერჯერობით არ დაწყებულა, თუმცა 2012 წლის თებერვალში საქმის განხილვის დაწყება იგეგმება, — აცხადებენ „ქართულ ოცნებაში“.

შარშან, 29 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, როსტომ მეფის სასახლის პირველ სართულზე, 150 კვ.მ-ში შპს „ლაით ჯგუფის“ წარმომადგენლები შეიჭრნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ამ ფართობით სარგებლობის უფლება ჰქონდათ. მათ საფუძვლად „ლაით ჯგუფსა' და შპს „პროფერთი მენეჯმენტს'შორის 2011 წლის 1 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება მოიტანეს. როგორც შემდეგ გაირკვა, იჯარის ეს ხელშეკრულება იურიდიული ძალის არმქონე იყო, რადგან შპს „ახალ კაპიტალს“'არანაირი ფართობი შპს „პროფერთი მენეჯმენტისათვის' არ გადაუცია. ივანიშვილის იურიდიული ჯგუფის წარმომადგენელთა განმარტებით, კანონის თანახმად, იურიდიული პირის მონაწილეობით დადებული იჯარის ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ წარმოშობს საიჯარო უფლება-მოვალეობას, თუ იგი საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული. ამ შემთხვევაში კი, არანაირი რეგისტრაცია არ არსებობს.

საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულება ვერც დარეგისტრირდებოდა, რადგან როსტომ მეფის სასახლე არ არის ექსპლუატაციაში მიღებული.

შენობის უცხო პირების მიერ დაკავების გამო, საპატრულო პოლიცია გამოიძახეს, რომელიც ვალდებული იყო არსებული უკანონობა აღეკვეთა, თუმცა ცოტა ხანში, პოლიციამ ისე დატოვა ტერიტორია, რომ ოქმიც კი არ შეუდგენია. კანონმდებლობის მიხედვით, შპს „ახალ კაპიტალს“ უფლება ჰქონდა, შენობაში უცხო პირთა შეჭრა ფიზიკური ძალით აღეკვეთა, თუმცა ეს უფლება არ გამოიყენა და მათ წინააღმდეგობა არ გაუწია, რათა შესაძლო პროვოკაციები თავიდან აეცილებინა. არაა გამორიცხული, შეხლა-შემოხლის დროს ვინმეს გაესროლა და ა.შ. „ახალმა კაპიტალმა“ პოლიციას მიმართა და შენობაში შეჭრილ პირთა გამოსახლება და საქმის გამოძიება მოსთხოვა. ამ მოქმედებების განხორციელება ძველი თბილისის რაიონის შს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას (ინსპექტორი ილარიონ ადამია) დაეწერა. მართალია, ყოველგვარი ვადები დარღვეულია, თუმცა პოლიციას ამ დრომდე არანაირი მოქმედება არ შეუსრულებია. ამ უმოქმედობის გამო, „ქართულმა ოცნებამ“ 27 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრ მერაბიშვილსა და მთავარ პროკურორ ზოდელავას მიმართეს, მაგრამ — კვლავ ამაოდ.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებით, ერეკლე მეორის მოედნის №3-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო ღობე უკანონოდაა აღმართული, რითაც შენობის მესაკუთრეს საკუთარი შენობით სარგებლობაში ხელი ეშლება. ამასთან დაკავშირებით, შპს „ახლმა კაპიტალმა“ და შპს „ძველმა უბანმა“ (მასაც ხელი ეშლება საკუთარი შენობით სარგებლობაში) ღობის აღების მოთხოვნით საჩივრით მიმართეს თბილისის განვითარების ფონდს, რომელიც შავთელისა და ჩახრუხაძის ქუჩების მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს. ამის შესახებ თბილისის განვითარების ფონდმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩახრუხაძისა და შავთელის ქუჩებზე სამშენებლო სამუშაოების დამთავრებამდე ღობის შენარჩუნება აუცილებელია.

„ქართულ ოცნებაში“ აქვთ არგუმენტები, თუ რატომაა ეს ღობე უკანონოდ აღმართული და მისი დაუყოვნებლივ აღებაა საჭირო. ისინი სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმას იშველიებენ, რის შესახებაც დიპლომატებს დეტალურად მოახსენეს.

— ღობეს არავითარი ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნია, ღობის არსებობის ერთადერთი მიზანი ჩვენი უფლებების შეზღუდვაა, — განაცხადეს ივანიშვილის წარმომადგენლებმა.

# ხელისუფლება ბიზნესმენებს კონფიდენციალურ ინფორმაციას სძალავს

შალვა ჯოხაძე

ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით, საქართველოში საფინანსო სექტორის ზედამხედველობა გამკაცრდა. აღსანიშნავია, რომ საფინანსო რეგულირების კანონმდებლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება გასული წლის ბოლოს შევიდა, რითაც ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებები გაიზარდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლებმა ეს ცვლილებები დეტალურად გაშიფრეს.




„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლების თქმით, კანონმდებლობაში კიდევ ერთხელ დაზუსტდა, რომ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებისგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ეს უფლებამოსილება ეროვნულ ბანკს, მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, ჯერ კიდევ კანონის ცვლილებამდე ჰქონდა. ამჯერად, კანონის შესაბამის მუხლებს დაემატა პუნქტები, რამაც ეროვნული ბანკის ეს უფლებამოსილება მხოლოდ დააზუსტა. არასამთავრობო ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ამგვარი დაზუსტებით ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის უფრო მკაცრი კონტროლის უფლებამოსილებას გაესვა ხაზი. თვით ამ დებულებების არსს რაც შეეხება, მათი მართებულობის შესახებ კითხვები კი მათი მიღებისას უნდა დასმულიყო.

— ეროვნული ბანკისთვის „ნებისმიერი“ (მათ შორის კონფიდენციალური) კომერციული ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილების მინიჭება ძალიან შორს მიმავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და საფრთხეს შეიცავს, რომ ნებისმიერ ფულის მიმღებს ამა თუ იმ სახსრების წარმოშობის ახსნის ვალდებულება შეიძლება გაუჩნდეს. შესაძლებელია, ფულის მიმღებს, რომელსაც არ შეიძლება სცოდნოდა თავისი პარტნიორის ან ამ უკანასკნელის პარტნორებთან დანაშაულის გზით გენერირებული ფულის შესახებ, პასუხისმგებლობა დაეკისროს, რაც გაუმართლებელია და ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერი სუბიექტის პრინციპს.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური დანაშაულის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზეა. „მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზეა“ ნიშნავს, რომ ფულის მიმღებს არ უნდა ჰქონდეს ვალდებულება, მის მიერ მიღებული ფულის წარმოშობა წარმოშობის ყველა ეტაპზე გამოიძიოს იმის შიშით, რომ ეს ფული სადმე უკანონოდ გენერირებული არ აღმოჩნდეს. თუ მარეგულირებელს ან სამართალდამცავს ამგვარი ეჭვი უჩნდება, მან თავად უნდა ეძებოს ფულის გენერირების ამა თუ იმ ეტაპზე დანაშაულის ელემენტები, — აღნიშნავენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

ცნობისათვის, ევროკავშირის სახელმწიფოებში, სადაც საბანკო სფერო უფრო მეტად არის რეგულირებული, ასეთ მკაცრ ზედამხედველობას არ მიმართავენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, საფინანსო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით, პოსტსოციალისტური ევროპის (ჩეხეთი, ესტონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი) და „ძველი ევროპის“ (ფინეთი, გერმანია) ქვეყნებში ეროვნულ ბანკებს საფინანსო ბაზრის ყველა მოთამაშისა და კერძო პირებისგან ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაციის მოთხოვნის უფლება არ აქვთ. უფრო მეტიც, ამგვარი უფლებამოსილება არც ევროპის ცენტრალურ ბანკს გააჩნია. გარდა ამისა, ხსენებულ ქვეყნებში აუცილებელი ინფორმაციის გამოთხოვა კანონით მკაფიოდ დადგენილ შემთხვევებში ხდება. მაგალითად, ჩეხეთის ეროვნული ბანკი საბანკო ინფორმაციის სისტემის კოორდინირებას ახდენს, რისთვისაც უფლება აქვს, აუცილებელი (და არა ნებისმიერი ან კონფიდენციალური, როგორც ეს ქართული კანონმდებლობით არის განსაზღვრული) ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია მოითხოვოს ბანკებისა და სხვა კანონით განსაზღვრული სუბიექტებისგან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ცნობით, პრინციპი მარტივი და ლიბერალურია: ეროვნული ბანკი ითხოვს კონკრეტული კატეგორიისა და შინაარსის ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციისა და მისი თანმხლები დოკუმენტების მიწოდების ვადა კანონით არის დარეგულირებული. ამ ინფორმაციის განკარგვის წესები დაწვრილებით არის გაწერილი, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კომერციული ინფორმაციის არასათანადო გამჟღავნების პრევენციას და კონკრეტულ მხარეს ინფორმაციის კანონით გაუთვალისწინებელი გამოყენებისთვის კონკრეტულ პასუხისმგებლობას აკისრებს. თუ მოწოდებული ინფორმაციის სისრულეზე ან სიზუსტეზე გონივრული ეჭვი ჩნდება, დამატებითი ინორმაციის ან ახსნა-განმარტების მოთხოვნა საფინანსო ინსტიტუტებისგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება.

— სამწუხაროდ, საფინანსო ბაზრის მარეგულირებელი არც ერთი ქართული ნორმატული აქტი (მათ შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებები) არ ადგენს კომერციული ინფორმაციის გამჟღავნების პრევენციის მექანიზმებს და მხოლოდ დარღვევის ჩადენის შემდგომ პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლება. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხების ეფექტიანად დარეგულირება და ინფორმაციის არამართებულად გამოყენების პრევენცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა ეროვნულ ბანკს ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვს საფინანსო სექტორის უკლებლივ ყველა წარმომადგენლისგან.

უკანასკნელი ცვლილებებით, ეროვნულ ბანკს გაუჩნდა ახალი უფლებამოსილება, თავის მიერ დადგენილი წესით აწარმოოს ოპერაციები ოქროთი ან/და ეროვნულ ბანკში შენახული ოქროს საკუთრების დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდებით. ამ ოპერაციებზე არ გავრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი. ოქროს საკუთრების დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდებით ოპერაცია, არსებითად, ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე განხორციელებული ოპერაციაა და კანონით უნდა განისაზღვრებოდეს. ეროვნულმა ბანკმა თავისი კანონქვემდებარე აქტებით მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონის მუხლების მოქმედების პირობების ტექნიკური აღწერა შეიძლება მოახდინოს. იმის გათვალისწინებით, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მისი კუსტარულად რეგულირება კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას (კუსტარულია კანონქვემდებარე აქტებით ისეთი სფეროს რეგულირება, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ბაზარი: ვთქვათ, სავალუტო პუნქტებისგან ინფორმაციის მოთხოვნის წესის დადგენა კანონქვემდებარე აქტებით შეიძლება, მაგრამ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონქვემდებარე აქტით რეგულირება — არა). ამასთან, აღნიშნული ცვლილება კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა და მხოლოდ მესამე მოსმენისას დაემატა კანონპროექტს, მაშინ როცა, მესამე მოსმენისას კანონპროექტში მხოლოდ რედაქციული ხასიათის ცვლილებები შეიძლება შევიდეს, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენლები.

მათივე ინფორმაციით, უკანასკნელი ცვლილებებით, ეროვნულმა ბანკმა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შეიძლება მოითხოვონ ინფორმაცია გარიგების დადების მცდელობებზე. „ნებისმიერი“ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, მოიცავს გარიგების დადების მცდელობების შესახებ ინფორმაციასაც. გაუგებარია, რა იგულისხმება გარიგების მცდელობის შესახებ ინფორმაციაში და კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საფინანსო ინსტიტუტმა ეროვნულ ბანკს. გარიგების დადების მცდელობა, არსებითად, არშემდგარი გარიგებაა. არშემდგარი გარიგების შესახებ ინფორმაციის მარეგულირებლისთვის, მათ შორის ეროვნული ბანკისთვის, მიწოდების ვალდებულების საფინანსო ინსტიტუტისთვის დაკისრება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის გაუმართლებელია. კანონის მიხედვით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის შეუტყობინებლობა დანაშაულად ჩაითვლება თუ მოგვიანებით ეს უკანასკნელი ან სამართალდამცავი ორგანოები საკუთარი არხებით რომელიმე არშემდგარ გარიგებაში დანაშაულის ნიშნებს აღმოაჩენენ და გაარკვევენ, რომ გარიგების მხარეებს რომელიმე კომერციულ ბანკში ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენელთან რაიმე ტრანსაქციის განხორციელების მცდელობა ჰქონდათ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პუტინი სააკაშვილს იდეებს ჰპარავს?

თეა მარხვაიძე

საქართველოს პრეზიდენტი და რუსეთის ორემიერი ერთმანეთს აშკარად ბაძავენ. ჩვენი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს პუტინი ბაძავს სააკაშვილს. მშობლიური ოპოები კი იმის მტკიცებაში არიან, რომ სააკაშვილი ბაძავს პუტინს.

რუსული მედია კი თავის მხრივ პუტინს პლაგიატობაში ადანაშაულებს. ალბათ ყველამ ნახეთ როგორ ესტუმრა სააკაშვილი ლაგოდეხის საავადმყოფოს.

პრეზიდენტი კვირას ლაგოდეხში „არქიმედეს კლინიკას" ესტუმრა, სადაც ერთ დღეში 10 ბავშვი დაიბადა. მიხეილ სააკაშვილმა ლაგოდეხელი ახალშობილები და მათი მშობლები პირადად მოინახულა და მათ საჩუქრებიც გადასცა. პრეზიდენტმა მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო და სამედიცინო პერსონალსაც გაესაუბრა. სააკაშვილმა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის თაობაზე გაამახვილა ყურადღება და ხაზგსმით აღნიშნა, რომ საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტი ხარისხიანი ჯანდაცვაა. მისი თქმით, შობადობის მაჩვენებლის ზრდაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შედეგია.

პრეზიდენტმა ახალშობილებთან და მათ დედებთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო. როგორც გაირკვა იგივე გააკეთა პუტინმა. ოღონდ იმ განსხვავებით რომ ის ლაგოდეხში არ ჩასულა.

„რუსკი ჟურნალის" შეფ-რედაქტორმა ალექსანდრე მოროზოვმა აღმოაჩინა, რომ პუტინმა კიდევ ერთხელ მიბაძა სააკაშვილს.

მან საკუთარ ბლოგში დაწერა, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრის სტატიის მესამედი წარმოადგენს „პროექტის რუსეთის ფედერაციაში პოლიკულტურული განათლების განვითარების პროექტის" შინაარსის „უბრალო გამეორებას", რომელიც რუსეთის განათლების სამინისტროს მიერ 2010 წელს იქნა მომზადებული, ხოლო გამოქვეყნებული ერთი წლის წინ, „ რუსეთის მოქალაქის სულიერ-ზნეობრივი, განვითარებისა და აღზრდის კონცეფცია". ის კონცეფცია შედგენილი იყო რუსეთის განათლების აკადემიის წევრ-კორესპოდენტების ალექსანდრე კონდაკოვისა და ალექსანდრე დანილიუკის, ასევე ვალერი ტიშკოვის მიერ.

მოროზოვი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ მეცნიერული ნაშრომებიდან პუტინის სტატიაში ხაზგასმულია კულტუროლოგიური ლექსიკა. „მართალია, სპიჩრაიტერებმა, რომლებმაც მას ტექსტი შეუდგინეს, ვერ გაიგეს, რომ „პოლიტკულტურულობა" გამოიყენება როგორც „მულტიკულტურულობის" ანალოგი, ხოლო გამოთქმა „პოლიტკულტურული განათლება" არის „მულტიკულტურული განათლების" სინონიმი", – წერს მოხსენიებული ჟურნალის შეფ-რედაქტორი. – ეს ჩანს იქედან, რომ „მულტიკულტურულობის" თეორიას აკრიტიკებენ (როგორც მოძველებულს) პუტინის ტექსტში, და მას უპირისპირებენ „პოლიტკულტურალიზმის" თეორიას (როგორც თითქოს რაღაც სხვა) ...".




ვლადიმერ პუტინის სტატია: „რუსეთი: ნაციონალური საკითხი" მიძღვნილია მიგრაციული პოლიტიკისადმი, ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტებისადმი და სხვა მონათესავე თემებისადმი. მასში, კერძოდ, მიგრაციული კანონმდებლობის დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომაზეა საუბარი".

ეს პირველი შემთხვევა არ არის როცა პუტინს მიმბაძველობაში სდებენ ბრალს. პუტინს ეს ამბავი საერთოდ არ ადარდებს. და თუ საჭიროდ ჩათვლის კიდევ ნიბაძავს სააკაშვილს. აევე მოიქცევა სააკაშვილიც.

ამჯერად კი რუსეთის პრემიერმა აშკარად მიბაძა ჩვენს მაღალს. რომელიც 22 იანვარს ამაყად ტრიალებდა ახალშობილებში.

# ხელისუფლება ბიზნესმენებს კონფიდენციალურ ინფორმაციას სძალავს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ამასთან, სავარაუდოდ, ან ინსტიტუტების მიერ ამ მოთხოვნის შესრულება ძალიან რთული იქნება, რადგანაც გაუგებარია, როგორ არის შესაძლებელი, საფინანსო ინსტიტუტებმა კლიენტების გარიგების მცდელობებთან დაკავშირებით ინფორმაცია შეაგროვონ.

– ბანკის მიერ არშემდგარი გარიგებების მონიტორინგი არ არის დამკვიდრებული პრაქტიკა. ჩვენ მიერ შესწავლილი ზემოთ მოყვანილი არც ერთი ქვეყნის ეროვნული ბანკი არ ითხოვს ინფორმაციას გარიგების დადების მცდელობებზე. ამგვარი უფლებამოსილების გამართლება შესაძლებელია, თუკი მიზანი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დანაშაულის პრევენციაა. თუმცა, ამაზე კანონში არ არის საუბარი. ვფიქრობთ, რომ დანაშაულის პრევენცია მარეგულირებლის მიერ უფრო მეტ განმარტებას საჭიროებს.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ასევე მიენიჭა უფლებამოსილება, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ. ცნობისათვის, სხვა სააგენტოს ან კერძო პირს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, სადაზღვევო ოპერაციების, ტრანსაქციების და გარიგების დადების მცდელობის შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში".

ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ საფინანსო სექტორზე კონტროლის გამკაცრება და სახელმწიფოსთვის კონფიდენციალური კომერციული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამ ინფომაციის ბოროტად გამოყენების პრევენციის მექანიზმების შექმნის გარეშე, უარყოფით გავლენას მოახდენს ბიზნესნდობაზე (ანუ ბიზნესის ნდობაზე სახელმწიფოს და ბიზნესგარემოს მიმართ), რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება აისახოს ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებებსა და ზოგადად ბიზნესგარემოზე. ამ ფაქტმა შესაძლებელია ქვეყნიდან თანხების გადინება გამოიწვიოს. ბუნებრივია, უცხოელი ბიზნესპარტნიორებისთვის ყველა სახის საფინანსო ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება მიუღებელი იყოს, რამაც შესაძლოა, მათი ბიზნესიდან გასვლა გამოიწვიოს. ეს კი კაპიტალის მოზიდვასა და საინვესტიციო გარემოზე, დიდი ალბათობით, უარყოფითად აისახება. ამასთან, ბიზნესგარემოს გაუარესება საგადასახადო კოდექსში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებებმაც, კერძოდ, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის სამართლებრივი მოწესრიგების ახალი წესის ამოქმედებამაც შეიძლება გამოიწვიოს.

საინტერესოა, თუ რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს კომერციული ინფორმაციის სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომობის ზრდას. ცხადია, ერთ-ერთი არგუმენტი ეკონომიკური დანაშაულის (მათ შორის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის) დაფინანსების პრევენციის მცდელობა შეიძლება იყოს. თუმცა, ძნელი სათქმელია, თუ რომელი მიზანია უფრო მნიშვნელოვანი – ლიბერალური ბიზნესგარემო თუ სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციის დამატებითი მექანიზმის შექმნა. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა (კერძოდ, კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ") დეტალურად უკვე განსაზღვრავს პირის მიერ დადებული ან შესრულებული რა ტიპის გარიგებები ექვემდებარება მონიტორინგს და შესაბამისი ორგანოების ზედამხედველობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ:

ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს პარლამენტმა განიხილონ, აღემატება თუ არა ეკონომიკური დანაშაულით გამოწვეული შესაძლო ეფექტი ბიზნესნდობის შემცირებით გამოწვეულ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური დანაშაულის პრევენციის აუცილებლობა გადაწონის, შესაძლებელია გამართლება მოეძებნოს საფინანსო რეგულირების კანონმდებლობაში შესულ ამგვარ მკაცრ ცვლილებებს. სამწუხაროდ, ასეთი ანალიზის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არ გააჩნია, რის გარეშეც განხილული ცვლილებები სრულიად გაუმართლებელია და არც პრეცედენტი ეძებნება;

ეროვნულმა ბანკმა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა კანონქვემდებარე აქტით/აქტებით დეტალურად განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა მოახდინონ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებმა გარიგების დადების მცდელობების მონიტორინგი. კანონში ცვლილების ტექნიკური უზრუნველყოფა კანონქვემდებარე აქტებით სათანადოდ უნდა ხდებოდეს;

„ფასიანი ქაღალდების შესახებ" კანონით განისაზღვროს ეროვნული ბანკის მიერ ოქროთი ან/და ეროვნულ ბანკში შენახული ოქროს საკუთრების დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების წარმოება, ხოლო ეროვნული ბანკის შესაბამისი აქტით/აქტებით ტექნიკურად აღიწეროს აღნიშნული ოპერაციების წარმოების წესი, პირობები და ასევე ეროვნული ბანკის შესაბამისი დისკრეცია.

# მამუკა გიორგაძე: „დროა, ივანიშვილმა თავად მიიღოს გადაწყვეტილებები"

**რატომ აღიზიანებთ რესპუბლიკელების აქტიურობა და რა ნაბიჯი უნდა გადადგას ბიძინა ივანიშვილმა, რომ მისი პოზიციები უფრო გამყარდეს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის" ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**

შორენა კოწოწაშვილი

*– ბატონო მამუკა, რას იტყვით ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე მოვლენებზე და რატომ მაინცდამაინც რესპუბლიკელები სახელდებიან ყველაზე ამბიციურ ძალად ალასანიას კარზე?*

– სამწუხაროდ, მოვლენები ისე არ ვითარდება, როგორც უნდა ვითარდებოდეს. ოპოზიცია ხელისუფლებას თავის თამაშს ვერ თამაშობს და სააკაშვილი ახერხებს თავის საჭიროების წარმოჩენას. მნიშვნელოვანი საკითხების უყურადღებოდ დატოვების ფონზე დიდი კარის ინტრიგები, აქცენტები კეთდება იმაზე, ვინ რა თქვა და ვისი ინტერესები მძლავრობს. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია ძალიან პასიურობს. ვერ ვიქნები ობიექტური, თუ არ ვიტყვი, რომ რესპუბლიკელების აქტიურობა აშკარად ჩანს სხვების ფონზე. ამიტომ, თუ ვინმეს აქვს რაიმე გაღიზიანება რესპუბლიკური პარტიის მიმართ, თავის პასიურობას უნდა დააბრალოს და არა, დავუშვათ, იმას, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურები არიან; და მეორე: ის, რომ ქართველი საზოგადოება ბიძინა ივანიშვილს გარკვეული იმედებით შესცქერის, ეს ივანიშვილის პასუხისმგებლობაა. საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს იმ პიროვნებების თუ ორგანიზაციების მდგომარეობა, ნაბიჯები, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ივანიშვილის კარზე. ამიტომ, რა ფორმით ხდება გადაწყვეტილებების მიღება, ივანიშვილზეა დამოკიდებული.

*– არაერთმა პოლიტიკოსმა თუ ცნობილმა სახემ ღია განცხადებებში მიანიშნა, რომ ივანიშვილი მოქმედებს გარემოცვის ინტერესების შესაბამისად, რომ გადაწყვეტილებებს ძირითადად რესპუბლიკებები იღებენ. ნანა დევდარიანი, რომელმაც „ქართული ოცნება" დატოვა, ფიქრობს, რომ შევარდნაძეს 20 წელი რომ დასჭირდა, ეთქვათ, გარემოცვის მსხვერპლიაო, სააკაშვილს – რამდენიმე წელი, ივანიშვილი კი ჯერ არ მოსულა ხელისუფლებაში და უკვე ამბობენ, რომ მას გარემოცვა მართავს. თქვენც ასე ფიქრობთ?*

– მაგ შეკითხვის ლოგიკური პასუხი ალბათ იქნებოდა ის, რომ ვთქვათ, მოდით, შევქმნათ ბიძინა ივანიშვილის მისი გარემოცვისგან დაცვის მოძრაობა. თვითონ თუ აწყობს, რომ რომელიმე ორგანიზაციის ან პიროვნების მხრიდან იყოს მართული, მაშინ ჩვენ ვერაფრით დავეხმარებით. მან უნდა იცოდეს, რომ პასუხისმგებლობას ხალხი ივანიშვილსგან ელის და არა სხვა ვინმესგან, ვისზეც ამბობენ, რომ ივანიშვილს მართავს. თავად ივანიშვილმა უნდა იგრძნოს ეს პასუხისმგებლობა და შესაბამისად, მოიქცეს.

*– ანუ ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ივანიშვილი აქტიურად ერევა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში, რასაც მისი გუნდის წევრები იღებენ?*

– კიდევ ვიმეორებ, ამ პროცესის შიგნით რა ხდება, მე არ ვიცი და ვერ ვისაუბრებ. მაგრამ ის, რომ დღეს ინიციატივა სააკაშვილის ხელშია; ის, რომ პრაქტიკულად პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სცენარის მიხედვით, ეს ცალსახაა. პრაქტიკულად ყველა ჩვენგანს, ყველა პოლიტიკურ ჯგუფს და მათ შორის ბიძინა ივანიშვილს, მეტი აქტიურობა გვამრთებს. უბრალოდ, მას ჩვენგან განსხვავებით უფრო დიდი რესურსი გააჩნია, ვიდრე სახალხო პარტიას და ბუნებრივია, მისი პასიურობა უფრო მეტად ჩანს, ვიდრე სახალხო პარტიის არააქტიურობა. ბიძინა ივანიშვილს პარქტიკულად უწევს მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება. ამ მიმდინარე მოვლენებს კი სააკაშვილი ქმნის: ზოგჯერ სულელურს, ზოგჯერ ჭკვიანურს, ზოგჯერ სასაცილოს. ხშირად გვეცინება ხოლმე, რატომ ამბობს ამ სისულელეს სააკაშვილი, მაგრამ ეს ყველაფერი მას სჭირდება იმისთვის, რომ ინიციატივას ფლობდეს. სააკაშვილი გვაიძულებს თითოეულ ჩვენგანს, რომ რეაგირება გავაკეთოთ მის თემებზე. მაგალითად, სააკაშვილმა თქვა, რომ ლაზიკა უნდა ააშენოს. ახლა მთელი ქართველი საზოგადოება მსჯელობს ჭკვიანურია თუ არა ეს, გამოვა თუ არა, ვისი დაკვეთაა ლაზიკას აშენება. გამოაცხადებს, დავუშვათ, რომელილაც საავადმყოფოს გახსნას, იწყება ლაპარაკი აპარატურა ვინ ჩაიტანა, რატომ ჩაიტანა, რომელი საავადმყოფოდან წამოიღეს და ა.შ. შეხვდება სააკაშვილი მოსახლეობას და საუბარი მიდის, რამდენ ლარიანი მეხოტბეები იყვნენ სააკაშვილთან შეხვედრაზე და ა.შ. ეს ყოველივე გრძელდება. პრაქტიკულად სააკაშვილი მისთვის საჭირო ინფორმაციას ავრცელებს, მისთვის სასურველ თუ არასასურველს, მაგრამ იმ მომენტისთვის აუცილებელ ნაბიჯს დგამს, შემდეგ ჩვენ ყველანი ვიწყებთ ამ ნაბიჯების შეფასებას, გაპროტესტებას. ყველამ ვიცით, რომ ის დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად დაუბრუნებს ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას, მისცემს საშუალებას ტელევიზიის გახსნის. წართმეული ფულიც დაუბრუნა. ეს ქმედებები სააკაშვილის მიერ გამოყენებული იყო ინიციატივის ხელში ასაღებად. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სულელური ნაბიჯი იყო და მას ამ ნაბიჯს არავინ მოუწონებდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ სამი მილიონის წართმევა იყო კრიმინალი. მაგრამ მას ეს იმ დღისთვის სჭირდებოდა, რათა ეს ფაქტი გამოეყენებინა თავისიანების მამობილიზებელ ფაქტორად, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, საზოგადოებას უჩვენა, რომ ინიციატივა მის ხელშია. ამ დროს ქართული ოპოზიციური სპექტრი დაკავებულია რაღაც კომისიების შექმნით ან რაღაც ზოგად თემებზე საუბრით, ან შიდა ინტრიგების წარმოჩენით, ანდა შიდა დაპირისპირების თვალსაჩინოებისთვის. იქამდე მივიდა საქმე, რომ დღეს, მაგალითად, „რეალ-ტი-ვიზე" პირდაპირ ეთერში გადიოდა ნინო ბურჯანაძის პრესკონფერენცია. პრაქტიკულად ჩვენი თავმოუბმელობის გამო ხელისუფლებამ აიღო ეს ინიციატივა და უმთავრესი პრობლემა, რომელიც დღეს დგას ბიძინა ივანიშვილის წინაშე, როგორც ოპოზიციაში ყველაზე უფრო ქმედუნარიანი პირის წინაშე, არის ის, რომ ინიციატივა გამოსტაცოს სააკაშვილს ხელიდან. ითამაშოს არა სააკაშვილის დაგეგმილი სცენარით, არამედ საკუთარი სცენარი შესთავაზოს სააკაშვილს. გამოიყენოს ის კოზირები, რომელიც ოპოზიციურ ფლანგზე არსებობს და სააკაშვილი მოაქციოს ისეთ მდგომარეობაში, რომ ის იყოს იძულებული იმ მოვლენებზე გააკეთოს რეაგირება, რომელსაც მას ოპოზიცია შესთავაზებს და რომელიც მისთვის მაინცდამაინც სასარგებლო არ იქნება. ოთხი თვეა, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა და მთელი მისი გუნდის წევრები ამ ხნის მანძილზე თავის მართლების რეჟიმში არიან და თან იძახიან თავის მართლება არ გვჭირდებაო. მართლა არ სჭირდება თავის მართლება, ისეთ საკითხებზე ედავება ხელისუფლება,



მამუკა გიორგაძე

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გიორგი ლალიძე: „ოპოზიციის პასიურობა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს“

შორენა გონგლაძე

**ინტერვიუ
პარტია მომავალი
საქართველოს ლიდერ
გიორგი ლალიძესთან**

*— ხელისუფლებამ უკვე საკმაოდ აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ოპოზიციაზე, ფაქტია, რომ ხელისუფლება უპირატეს მდგომარეობაშია, აქედან გამომდინარე როგორ ფიქრობთ, დღეის მდგომარეობით წარმატების რა შანსები აქვს ოპოზიციას?*

— პოლიტიკური პარტიების პასიურობა თავისთავად არა არის მომგებიანი და ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, საჭიროა ყველა პოლიტიკური ძალის გააქტიურება. პრეზიდენტი უკვე კარგა ხანია ჩაფლულია წინასაარჩევნო კამპანიაში და დღე არ გავა, რომელიმე ქალაქში პიარღონისძიება არ მოაწყოს, სამწუხაროდ, ამის საპირწონედ ოპოზიციის მხრიდან არ კეთდება არაფერი, მთელი ოპოზიცია რატომღაც ძალიან ინერტულია, რაც, რა თქმა უნდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე აუცილებლად აისახება უარყოფითად. დღეს საქართველოში არის ორი დიდი პოლიტიკური ცენტრი, ერთი არის ნაციონალური მოძრაობა და მის ირგვლივ შემოკრებილი პარტიები და მეორე არის ბიძინა ივანიშვილი თავისი მხარდამჭერი პარტიებით. მე არაერთხელ მითქვამს, რომ დრო ოპოზიციის საწინააღმდეგოდ მუშაობს და ამაში პირველ რიგში მოიაზრება ბიძინა ივანიშვილი. ამ ადამიანმა ძალიან სწრაფად დიდი იმედები გააჩინა ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ როგორც დროთა განმავლობაში გამოჩნდა, მას ჰყავს ძალიან ცუდი მრჩევლები და გამოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობენ მასზე ზეგავლენის მოხდენას. ალბათ, ეს განაპირობებს იმასაც, რომ ივანიშვილი დღეს არის სრულიად ინერტული, რაც საერთო ჯამში აისახება ოპოზიციის




რეიტინგზე. ნაციონალური მოძრაობა და მის მიერ მართვადი ნაციონალური ტელევიზიები დაკავებული არიან მხოლოდ პრეზიდენტის წინასაარჩევნო პიარით და ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებით, რაც არ უნდა კარგი რეპუტაციით სარგებლობდეს ივანიშვილი საზოგადოებაში, ამას, რა თქმა უნდა, განეიტრალება სჭირდება, საჭიროა ხალხს არგუმენტირებულად დაუდონ ინფორმაცია ყველა გავრცელებულ ჭორზე და მის საპირწონედ ოპოზიციის მხრიდანაც რაღაც გაკეთდეს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ხდება ისეთი უცნაური და ლოგიკას მოკლებული ნაბიჯების გადადგმა ოპოზიციის მხრიდან, რაც აუცილებლად უარყოფითად აისახება მის რეიტინგზე. ვინაიდან არცთუ ისე დიდი დრო არის დარჩენილი საპარლამენტო არჩევნებამდე, ამ ეტაპზე ოპოზიცია აშკარად წამგებიან მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ჩვენ არ ვიცით, რა ნაბიჯებს გადადგამს ხელისუფლება,

*— უკვე არაერთხელ განაცხადეთ, რომ შესაძლოა არჩევნებმა გადმოიწიოს, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?*

— ამის დიდი ალბათობა ნამდვილად არსებობს, ხელისუფლება ყველანაირად ეცდება ოპოზიციას წინასაარჩევნო ვადები მაქსიმალურად შეუკვეცოს, რათა ოპოზიციამ ვერ მოასწროს ჯეროვნად მომზადება. არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგეს პოსტიდან, გახდეს ის ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი საპარლამენტო არჩევნებზე და აქედან გამომდინარე რას მოიმოქმედებს სააკაშვილი, ეს ჯერ უცნობია. ბოლო წლების განმავლობაში მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოშიც პუტინიზაცია მოხდება. დიდი ალბათობაა იმისა, რომ სააკაშვილი ვადაზე ადრე გადადგეს პოსტიდან და საპარლამენტო არჩევნებზე იყაროს კენჭი, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნე. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ეს პიარაქციები მაფიქრებინებს იმას, რომ ის აქტიურად ემზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის.

*— სხვა საკითხია, ეს პიარაქციები რამდენად შედეგიანი იქნება.*

— მართალია ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ქართველ ხალხს ბევრი ცუდი რამ ახსოვს, საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, რა გააკეთა ხელისუფლებამ ამ რვა წლის განმავლიბაში და რას გააკეთებს მომავალში თუ მათ გაიმარჯვეს არჩევნებში და დარჩნენ ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, ქვეყანაში არის შერჩევითი სამართალი, არ არსებობს სასამართლო, ირღვევა ადამიანის უფლებები, კატასტროფული მდგომარეობაა სამუშაო ადგილების კუთხით, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს უმუშევრობის პრობლემა აწუხებს, ხელისუფლება ბუნებრივია არჩევნებამდე მოერიდება არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას და მაქსიმალურად შეეცდებიან ხალხის გულის მოგებას, მაგრამ მე მინდა მოვუწოდო საზოგადოებას, რომ გადახედონ განვლილი წლების შედეგებს, შეაფასონ, თუ რა გააკეთა ამ ხელისუფლებამ ქვეყნისთვის სასიკეთო და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. მხოლოდ საზოგადოების აქტიურობა და მხარდაჭერა გადაარჩენს ქვეყანას. თუ საქართველოში არსებულ იმ უმძიმეს სოციალურ ფონს დავამატებთ ოპოზიციის რეიტინგს, ოპოზიციას საერთო ჯამში აქვს გარკვეული შანსები, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა და მის მიერ მართული მედიასაშუალებები ყველაფერს გააკეთებენ არჩევნებამდე, რომ მაქსიმალურად დაბლა დაწიონ ოპოზიციის რეიტინგი. დღეს ჯერ კიდევ აქვს ბიძინა ივანიშვილს და საერთოდ ოპოზიციას გარკვეული პერსპექტივა და რეიტინგი საზოგადოებაში, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ კიდევ რაიმე სიურპრიზი მოუმზადოს ოპოზიციას, რაც მის დაბალ რეიტინგს კიდევ უფრო შეასუსტებს. იმიტომ ვამბობ, რომ საჭიროა აქტიურობა, საქართველო არ არის მხოლოდ თბილისი, ძლიარი აქტიურობაა საჭირო რეგიონებშიც. მაგრამ თუ გვინდა, რომ მივიღოთ რეალური შედეგი მიმაჩნია, რომ აუცილებელი გახდება ქუჩის აქციებიც. სხვა შემთხვევაში ძალიან გაჭირდება ამ შემთხვევაში ხელისუფლებასთან ბრძოლა. რა თქმა უნდა, ეს არის საერთო ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და ოპოზიციამ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს წარმატების მისაღწევად. თუ ივანიშვილმა და საერთოდ ოპოზიციამ გააგრძელა თავისი ინერტული და არათანმიმდევრული პოლიტიკა, ოპოზიციის რეიტინგზე დადებითად ნამდვილად არ აისახება. ჩვენ მზად ვართ, აქტიურად ვითანამშრომლოთ ბიძინა ივანიშვილთან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით მას გააჩნია სწორი ხედვები და ამ ყველაფრის განხორციელებას ჩვენი პარტია მხარს დაუჭერს. მე მიმაჩნია, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა აქტიურობა და ქარიზმატული ლიდერი, რომელიც მოიპოვებს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერას.

# დაანებეთ პრესას თავი!

შორენა გონგლაძე

მოკლედ, ამ ქვეყანაში რომ არაფერი იმალება, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. იმაშიც დავრწმუნდით, რომ მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ ქვეყნის მამა მთავარი გაზეთებს არ კითხულობსო ტყუილი ყოფილა. ამ ტყუილში კი დამნაშავე ისევ და ისევ ქვეყნის პირველი პირია და აი, რატომ: ყველას გვახსოვს ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების დემოკრატიულობის პირველი და ორიგინალური გამოვლინება იყო, როდესაც ქვეყნის პირველი პირის კეთილი რჩევით, იმ მოტივით, რომ ქვეყნის ბიუჯეტი დაეზოგათ და ხალხის კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ფული წყალში არ ჩაყრილიყო, სახელმწიფო დაწესებულებების კარი პრესისთვის სამუდამოდ დაიხურა. ამაში გარდა იმისა, რომ თანხები დაიზოგებოდა, გაცილებით მეტი სიბრძნე იდო – სახელმწიფო მოხელეები გაზეთის კითხვით და შემდეგ ათასი ჭორ-მართალის გარჩევაში დროს აღარ დაკარგავდნენ. მოკლედ, ერთი ხალხური ზღაპრისა არ იყოს, თქმა და ქმნა ერთი იყო – პრესა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ამ ფრიად ბრძნული გადაწყვეტილების საფუძველზე დიდი ზარზეიმით იქნა განდევნილი. ქვეყნის ინფორმაციული უზრუნველყოფა ტელევიზიებს დაეკისრათ, რომელთაც სულ მალე აბსოლუტურად დამსახურებულად ეწოდათ სახელისუფლებო არხები, რომლებიც შეძენილ სტატუსსა და ორიენტაციას ვერასოდეს მოიცილებენ, სამწუხაროდ, აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ დიდ ტელევიზიებზე, მათ რიცხვში შედიან ასევე ის პატარ-პატარა ასე ვთქვათ ტელეკომპანიები, რომლებიც თავისი სტანდარტებით ჟურნალისტიკასთან მიახლოებულიც კი არ არიან, ისინი უფრო მეტად პატარა ოჯახურ ბიზნესად ჩამოყალიბდნენ, მათთვის მთავარი დაფინანსებაა, ამის შემდეგ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ „ჭკვიანი“ სახეებით დამოძღვრონ ტელეეკრანებს მიშტერებული მაყურებელი, რომლებიც უკვე ხელისუფლების წყალობით წყალწაღებულისა და ხავსის როლში არიან, თუმცა არა მგონია, ამ პაწაწინა ჯიბის ტელევიზიებმა ხავსის როლის შესრულება მაინც შეძლონ.

მოკლედ, ტელევიზიების ამბავი გვერდზე გადავდოთ და მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ. მართალია დიდი მიშა ამბობს, რომ გაზეთებს არ ვკითხულობო და მის მაგალითს ხელისუფლების ბევრმა ჩინოსანმაც მიმართა (თუმცა არც ისე ულამ-უთენდებოდათ წიგნებისა და გაზეთების კითხვაში). მართალია ჩვენ ეს ამბავი დღემდე ასე ვიცოდით და გვჯეროდა, მაგრამ ჰოი საოცრებავ, თურმე ქვეყნის პირველი პირი პირველ რიგში გაზეთებს კითხულობს, (ტელევიზიებში ისედაც იცის რა იქნება, რა საჭიროა საკუთარი თავისა და გიგოლოს უმეტყველო სახის კიდევ ერთხელ ნახვა)

ასეა თუ ისე, გაზეთების მოძულე პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გაება საკუთარი ხელით დაგებულ მახეში. საქმე კი შემდეგში მდგომარეობას, ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ეს ვიცით, ისიც ვიცით, რომ სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, წინასაარჩევნო კამპანიაში, რომ სახელისუფლებო რესურსები ყველაზე ეფექტური საშუალებაა და რომ ამ რესურსს ხელისუფლება საკმაოდ ეფექტურად ითვისებს სიახლედ არ ეს გამოდგება, მიშამ რომ ასი ახალი საავადმყოფოს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება (ოდნავი სახეცვლილებით) რომ წინასაარჩევნოდ განიზრახა ესეც ვიცით, მაგრამ მთავარი აქ ის „უმნიშვნელო“ დეტალებია, რომელმაც პრეზიდენტს კიდევ ერთი უხერხულობა შეუქმნა.

მდინარეებსა და რუებზე დაგებული დროებითი გამოყენების ხიდებისა არ იყოს, ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ სამედიცინო აპარატურიდან დაწყებული თეთრი ახალთახალი ხალათებით დამთავრებული პრეზიდენტის ესკორტს სატვირთო მანქანები საპიარო ობიექტამდე სულ რამდენიმე საათით უსწრებს წინ, იმასაც ამბობენ, რომ ანტურაჟის გასალამაზებლად პრეზიდენტს რამდენიმე გრძელფეხება ექთან-სანიტარიც მუდმივად ახლავს თან. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პრეზიდენტის პიარ ჯგუფის სერიოზული ჩავარდნა გასულ კვირას დაფიქსირდა, როდესაც პრეზიდენტს ბალდათის ახლად გახსნილ საავადმყოფოში კოსტიუმში გამოწყობილი ბედნიერი სახით მომღიმარი „ავადმყოფი“ დაახვედრეს. ამ ინფორმაციას ჟურნალისტების ბოროტ ხუმრობად ჩავთვლიდით, რომ არა ვიდეოკადრები, რომელიც პრესაში კი არა სასამართლოებშიც კი შეიძლება საკმაოდ მყარ ალიბად იქნეს გამოყენებული. „ავადმყოფსა“ და პრეზიდენტს შორის გამართული ხანმოკლემ მაგრამ პროდუქტიულ დიალოგზე ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, ერთი შეხედვით ბალდადში მომხდარი „ჩეპე“ მალე უნდა ჩაფარცხულიყო, მაგრამ როგორც ეტყობა, ასე არ მოხდა, ჟურნალისტების ქილიკით შეწუხებულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც ლაგოდეხში ახალი სამედიცინო დაწესებულების გახსნისას უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს ყოველი ახალი სამედიცინო ცენტრის გახსნისას, სამედიცინო აპარატურა ერთი კლინიკიდან მეორეში გადააქვთ.



„ძველ საავადმყოფოებში პაციენტები აღარ დადიოდნენ. იქ მომუშავე ექიმებსაც არანაირი პრაქტიკა არ ჰქონდათ. რას იგონებენ, რომ აპარატურა დააქვთ აქეთ-იქითო, მსახიობებს აწვენენ პაციენტების ნაცვლადო და იმას ახვედრებენ სააკაშვილსო. მას, ვინც ლაპარაკობს, არ ვიცი, რატომ სწყინთ, რომ ახალი საავადმყოფოები იხსნება და ან სფეროში პროგრესია. ეს არის საპრეზიდენტო პროგრამა, ეს საავადმყოფოები ყველასთვისა არის.“ – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ძალიან კარგი, თუ ყველასათვის არის, ძალიან კარგი, თუ სამედიცინო მომსახურება მოსახლეობის ყველა ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, მაგრამ აქ მთავარი ეს არ არის, მთავარი და სასიამოვნო დასკვნა ისაა, რომ პრეზიდენტი გაზეთებს კითხულობს და რაც უმთავრესია, ორი ყურის პრინციპია აქ არაფერ შუაშია, რისი ნათელი დასტურიც პრეზიდენტის ეს განცხადებაა. რესპონდენტებისა არ იყოს, მინდა აქვე ვისარგებლო შემთხვევით და პრეზიდენტს ერთი მოკრძალებული რჩევა მივცე, ხომ მაინც კითხულობ, ხომ მაინც ყიდულობ, ხომ გინდა, რომ შენმა კურიერებმა ქუჩაში ურიკებით მოსეირნე გაზეთების დევნაში დრო არ დაკარგონ, ხომ გინდა, გამოძებნო „კეთილი მეფისთვის“ დამახასიათებელი ჟესტი, რომლითაც შენი რვაწლიანი მოღვაწეობის მანძილზე პირდაღებული საქართველოს მოსახლეობას კიდევ მეტად მისცემ პირის დაღების საშუალება, წინასაარჩევნოდ მეგობრულად აუწიე ყური უმეტყველო ჰაბიტუსის მქონე ქალაქის თავს, რომელმაც პრესის ჯიხურების ადგილას კვების ობიექტების გახსნა გადაწყვიტა.. გიგილო ჩვენს კვებაზე ნუ იდარდებს, მთავარია ფული იყოს და ჩვენი კვების პრობლებას როგორმე თქვენი დახმარების გარეშეც მოვადგამთ თავს, ეგ კვების ობიექტები კი არც თქვენ და არც გიგოლოს არაფერში გამოადგებათ, აქედან კი დასკვნის გაკეთება ადვილია – დაანებეთ პრესისა და მართალი სიტყვის დევნას თავი და ერთი მულტფილმისა არ იყოს, (სადაურია, გულში ვიტყვი, მეშინია, სამშობლოს ღალატი არ დამწამონ) „ბიჭებო, მოდით, მეგობრულად ვიცხოვროთ“.

# მამუკა გიორგაძე: „დროა, ივანიშვილმა თავად მიიღოს გადაწყვეტილებები“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მაგრამ რადგან საკუთარ თავზე არ იღებენ ინიციატივას, ამ მდგომარეობაში იმყოფებიან. არადა, ივანიშვილის გუნდმა იქით უნდა ჩააყენოს თავის მართლების პოზიციაში და შემტევი პოლიტიკური პროცესი უნდა წამოიწყოს. უნდა დავიწყოთ ტირანიის საყრდენი წერტილების ჩამოშლა. სამწუხაროდ, დღეს საპირისპირო ხდება. ოპოზიცია იქით არის ალყაში მოხვედრილი და ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო პასიურ მდგომარეობაში ვართ. ხელისუფლება ამას ძალიან ჭკვიანურად იყენებს. სახელისუფლებო ტექნოლოგიებისთვის ბრძოლა სააკაშვილმა იცის. ოპოზიციის ამ პასიურობამ განაპირობა ის, რომ სააკაშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობას დაუმტკიცა თავისი თავის არსებობა. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის პრეზიდენტთან დაგეგმილი შეხვედრა. ამით სააკაშვილი აჩვენებს, რომ ის არ არის ჩამოწერილი ლიდერი. უნდა დამთავრდეს იმ ადამიანების მოძრაობები პოლიტიკაში, რომლებიც ყოველთვის ყველა ხელისუფლებასთან იყვნენ.

*— ანუ სააკაშვილის უპირატესობაზე მეტყველებს ობამასთან შეხვედრა და შეუძლია ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს?*

— სააკაშვილი უკვე მოგებულია ამ ნაბიჯით. დანარჩენი პოლიტიკოსებზე და საზოგადოებაზეა. ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრას უარი ტირანიას.

# ონის მუნიციპალიტეტმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების ოდენობა განსაზღვრა

ონის მუნიციპალიტეტმა მის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების ოდენობა განსაზღვრა. ონის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე, მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში 15 000 ლარი იქნება.



თითოეულ სათამაშო აპარატზე – 1500 ლარი კვარტალში; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10 %; სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – 30 000 ლარი კვარტალში; ლატარიის მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზებიდან მიღებული ამონაგების10%.

ხოლო აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებელი კვარტალში 5 000 ლარი იქნება.

ონის საკრებულოს შესაბამისი დადგენილება უკვე გამოქვეყნდა და ძალაშიც შევიდა.

ინტერპრესნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო კალანდაძე: „თურქეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს არ გაამკაცრებს“

ნათია ხურცილავა



საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ე.წ. კანონიერი ქურდის ლაშა შუშანაშვილის დაკავების ფაქტზე ისაუბრეს. უკვე ცნობილია, რომ ლაშა შუშანაშვილის ექსტრადიციას საქართველო მითხოვს და მას ქართული კანონმდებლობის წინაშე მოუწევს პასუხისგება.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ქართული მხარე დაიწყებს მოლაპარაკების პროცესს, რომ კანონიერი ქურდის ექსტრადიცია მოხდეს.

ნინო კალანდაძის ინფორმაციით, საბერძნეთში დაკავებული ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, ლაშა შუშანაშვილი საქართველოს სამართალდამცავების მიერ იძებნება. მისივე თქმით, შუშანაშვილი ამავდროულად არის ესპანეთის მიერ ძებნილი, შესაბამისად, ექსტრადიციას მოითხოვს როგორც საქართველო, ასევე ესპანეთი. ნინო კალანდაძის განმარტებით, ვინაიდან ესპანეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, ესპანეთს ენიჭება უპირატესი მოთხოვნის უფლება.

თუმცა, კალანდაძის თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამორიცხულია საქართველოსთვის ექსტრადიციის შესაძლებლობა.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, პროცესში ჩართულია საქართველოს საელჩო საბერძნეთში, ასევე საქართველოს წარმომადგენლობა ესპანეთში.

– საქართველო ექსტრადიციას მოითხოვს. ეს პირი საქართველოს მიერ იყო ძებნილი. ამავდროულად ესპანეთის მიერ იყო ძებნილი. შესაბამისად ექსტრადიციას ორივე სახელმწიფო მოითხოვს, როგორც საქართველო, ისე ესპანეთი. ვინაიდან ესპანეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა ესპანეთს ენიჭება უპირატესი მოთხოვნის უფლება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამორიცხულია საქართველოსთვის ექსტრადიციის შესაძლებლობა. შესაბამისად ჩვენ ამ საკითხზე მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. მოლაპარაკებებში ჩართულია როგორც საბერძნეთის საელჩო, ასევე წარმომადგენლობა ესპანეთში. ასევე უნდა ითქვას, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს სამართალდამცავებს შორის. ქართველი სამართალდამცავები აქტიურად თანამშრომლობენ და დახმარებას უწევენ უცხოელ კოლეგებს ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებთან დაკავშირებით, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

როგორც ცნობილია, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ლაშა შუშანაშვილი ათენის ერთ-ერთ გარეუბანში ინტერპოლმა დააკავა. დაკავების დროს შუშანაშვილი თავის დაცვის წევრებთან ერთად ათენის ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, „კრიმინალურ ავტორიტეტს“, ლაშა შუშანაშვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით – „კანონიერი ქურდობისა“ და 181 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გამოძალვის ბრალდებები დაუსწრებლად წარედგინა.

მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან ე.წ. კანონიერი ქურდის ლაშა შუშანაშვილის ექსტრადირება ესპანეთში მოხდება. ქართული მხარე სპეციალური პროცედურების დაცვის შემდეგ მის ძმასთან ერთად, რომელიც ესპანეთშია დაკავებული და ამ დროისთვის სპეციალურ ციხეში იმყოფება, შუშანაშვილის ექსტრადიციას მოახდენს საქართველოში.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განცხადება ებრაულ კომპანიასთან მიღწეულ შეთანხმებაზე გააკეთა.

– ებრაულ კომპანია „ელბით მარახოდსა“ და ქართულ მხარეს შორის მორიგება შედგა, – განაცხადა კალანდაძემ. მისი თქმით, საუბარი იყო რამდენიმე ხელშეკრულებაზე, რომელიც მხარეებს შორის იყო გაფორმებული.

– ეს არის კერძო ბიზნესხასიათის მატარებელი ხელშეკრულებები, შეთანხმება შედგა, რომლითაც ორივე მხარე კმაყოფილია, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე მხარე დათმობაზე წავიდა, – აცხადებს ნინო კალანდაძე.

რაც შეეხება ციფრებს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვერ აკონკრეტებს.

კალანდაძის განცხადებით, ციფრებზე საუბარი ვერ იქნება, ვიდრე არ გამოიკვეთება, რომელი ხელშეკრულება დაკმაყოფილდება და რომელი არა.

– მე ვერ დავაკონკრეტებ ციფრებს, რადგან ძალიან ბევრი ხელშეკრულება იყო დადებული, რომელთა ნაწილის დაკმაყოფილება მოხდება, ნაწილის გათვალისწინება არ მოხდება, რადგან ქართული მხარის პოზიცია იყო მეტად მართებული, შესაბამისად არასწორი იქნება რაიმე ციფრებზე საუბარი, – განაცხადა კალანდაძემ.

2011 წლის აპრილში ისრაელის იარაღის მწარმოებელმა კომპანიამ „ელბითი“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქართულმა მხარემ 2007 წელს გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხები არ გადაიხადა. „ელბითი“ საქართველოსგან 100 მილიონ დოლარს ითხოვდა და სარჩელის შეტანას საარბიტრაჟო სასამართლოში გეგმავდა. 2011 წლის 29 დეკემბერს „ელბითმა“ თავის ოფიციალურ საიტზე გაავრცელა ცნობა, რომლის მიხედვითაც, კომპანიასა და ქართულ მხარეს შორის მორიგება შედგა და კომპანია 35 მილიონ დოლარს მიიღებს და ასევე, თბილისი შეიარაღების ნაწილს დააბრუნებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ მომავალ კვირას საქართველოს უწყებაში შვეიცარიისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ შვეიცარია საქართველოსა და რუსეთს შორის შუამავალი ქვეყანაა და ამ სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატი არსებობს.

– ასევე, შვეიცარიასთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობები და ქართული მხარე ყველა სამომავლო პროექტზე ისაუბრებს, – აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის გამოირჩეოდა ფაშისტური სულისკვეთებით და განსაკუთრებულ ხელოვნურ ბარიერებს ქმნიდა საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

რუსეთის ასეთი სიმკაცრის ადრესატი კი რუსეთში მცხოვრები კავკასიელები იყვნენ. რაც შეეხებათ საქართველოს მოქალაქეებს, საემიგრაციო კანონოს გამკაცრების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს განსაკუთრებული საფრთხე არ ემუქრებათ, რადგან კრემლი ამ დრომდე ცდილობს, რომ რუსეთში სქართველოს მოქალაქეების გადასვლა აკრძალოს.

– რუსეთის ფედერაციის პირობებში დამატებით კითხვის ნიშნებს მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ რუსეთი ხშირად დამატებით ბარიერს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს და არა სამართლებრივი პრობლემების მოგვარებისთვის. ეთნიკური შუღლის გაღრმავებას დამატებით აღარ საჭიროებს, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, რა გზით მოხდება „იუნესკოს“ დელეგაციის ჩასვლის ორგანიზება აფხაზეთში.

კალანდაძის თქმით, ქართულმა მხარემ არაერთხელ მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ შორის „იუნესკოს“, რომ შეძლოს შემსწავლელი მისიის წარგზავნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუმცა ძეგლის დაცვის ვალდებულება არსებულ ვითარებაში ოკუპანტ მხარეს ეკისრება.

– შესაბამისად, მათზე არის ვალდებულება, რომ უზრუნველყონ ამ მისიის უსაფრთხო შეშვება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. – განაცხადა კალანდაძემ. მისივე თქმით, ქართული მხარე აწარმოებს „იუნესკოსთან“ მოლაპარაკებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაკომპლექტდეს იუნესკოს მისია და რა გზით შეიძლება განხორციელდეს მისი შეყვანა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

– ამასთან დაკავშირებით ლაკერბაიას მოსაზრება ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ამ მისიის ჩამოყვანა შესაძლებელი გახდეს და ნაკლები დრო დაიკარგოს მანამ, სანამ კიდევ უფრო მეტად დაზიანდება ძეგლი, – აცხადებს ნინო კალანდაძე.

როგორც მინისტრის მოადგილე აცხადებს, ქართული მხარე მუშაობს იმაზე, რომ ექსპერტებთან ერთად შეიმუშაოს ძეგლების ვრცელი ნუსხა და „იუნესკოს“ დელეგაციის ჩამოსვლის შემთხვევაში მზად ჰქონდეს ობიექტური ინფორმაცია, რადგან არსებობს საშიშროება, რომ „იუნესკოს“ მისიის აფხაზეთში ჩასვლის შემთხვევაში, ქართველი ექსპერტების დაუსწრებლად, მისიას არაობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ.

– ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მისიის შეყვანა უახლოეს პერიოდში მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ქართული მხარე ეცდება, მზად იყოს ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, – აღნიშნავს კალანდაძე.

ქართული მხარის ინფორმაციით, აფხაზეთში მდებარე ილორის ტაძრის ე.წ. რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საგანგაშო ვითარება შექმნილი. გარდა ამისა, გამაგრებითი სამუშაოებისას ბედიის ტაძარში განადგურდა ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა.

საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე 25 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოვა. კალანდაძის განცხადებით, სესია სტრასბურგში გუშინ გაიხსნა და 27 იანვრამდე გასტანს.

ნინო კალანდაძის განცხადებით, გრიგოლ ვაშაძე თავის გამოსვლაში ისაუბრებს საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, ასევე, თუ რა ეტაპზე იმყოფება საქართველო ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულებების შესრულების კუთხით. საგარეო საქმეთა მინისტრი ყურადღებას გაამახვილებს სამომავლო პრიორიტეტებზე და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრებს.

როგორც ნინო კალანდაძემ აღნიშნა, გრიგოლ ვაშაძე სესიის ფარგლებში გამართავს უმაღლესი დონის შეხვედრებს, შეხვედრა შედგება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეულ პრეზიდენტთან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ადამიანის უფლებათა კომისარს აირჩევენ, ადამიანის უფლებათა კომისრის თანამდებობა თომას ჰამერბერგს ეკავა, თუმცა მას უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსულ ოკუპაციასა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრებს. ევროსაბჭოს წინაშე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის და ფინეთის პრეზიდენტ ტარია ჰალონენის გამოსვლაც იგეგმება.

– გრიგოლ ვაშაძე ევროსაბჭოს ტრიბუნიდან რუსული ოკუპაციის თემას და საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შეეხება. სიტყვით გამოვა და იქნება შეკითხვები. რუსული დელეგაციის წევრებს ჯერ არ გამოუთქვამთ სურვილი, კითხვები დაუსვან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, – აცხადებენ ქართული დელეგაციის წევრები.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილემ კომენტარი გააკეთა, თურქეთის სავიზო რეჟიმის გამკაცრებას ეხება.

ნინო კალანდაძე ვარაუდობს, რომ თურქეთის მიერ სავიზო რეჟიმის გამკაცრება საქართველოს არ შეეხება.

კალანდაძემ განაცხადა, რომ თურქეთი შესაძლოა ფიქრობდეს სავიზო მიმოსვლის შეზღუდვების დაწესებას სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში ინტერესი აქვს, რომ გამარტივებული სავიზო რეჟიმი არსებობდეს.

– ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გვაქვს თურქეთთან და ამას წახალისება სჭირდება, რათა ნაკლები ბარიერები არსებობდეს. ქართულმა და თურქულმა მხარეებმა ხანგრძლივი მოლაპარაკებები აწარმოეს, რომ სავიზო მიმოსვლა გამარტივებულიყო და ჩვენ გვაქვს მაქსიმალურად გამარტივებული სავიზო რეჟიმი, – აღნიშნავს კალანდაძე.

მისივე თქმით, თუ მსგავსი საშიშროება არსებობს, ქართული მხარე დაუყოვნებლივ გამართავს კონსულტაციებს თურქულ მხარესთან. როგორც ცნობილია, პირველი თებერვლიდან თურქეთში ამოქმედდება კანონი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამკაცრებას ითვალისწინებს.

# კუკავა პუტინთან მოლაპარაკებებს ითხოვს

ნათია ხურცილავა

კახა კუკავა იმ პოლიტიკოსთა რიცხვშია, რომლებიც მოსკოვში ღიად და საჯაროდ მოლაპარაკებებს და შემდეგ უკვე ტელეკამერების წინ პოზიორობას არ გაურბიან. შეიძლება პირიქითაც ითქვას. როგორც მოსალოდნელი იყო, კუკავამ რუსეთთან მოლაპარაკებები ხელისუფლების მწარე-მწარე ბრალდებების ფონზე აწარმოა.

მიუხედავად ამისა, მას არ მორიდებია, რომ კრემლის მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებები გაემართა, კუკავას „ფავორიტთა“ რიგებში გენადი ონიშენკო იყო.

მას შემდეგ, რაც ერთ დროს ჯარის მინისტრად წოდებულმა რუსეთში ფეკალური მასების გასაღებაზე ისაუბრა, გენადი ონიშენკომ პუტინის გადაწყვეტილება გაახმოვანა და მას მერე ქართული ეკონომიკისთვის რუსული ბაზარიც დაიკარგა.

კუკავამ მძიმე გზა აირჩია და გენადი ონიშენკოსთან დაიწყო მოლაპარაკებები. მას შემდეგ კუკავა გვარწმუნებს, რომ რუსეთი მზად არის დააბრუნოს თავის ბაზარზე ქართული ბორჯომი და ღვინო, მაგრამ რეალობა სულ სხვაზე მეტყველებს.

ამაოდ ელიან ჩვენი ბორჯომი და ღვინო რომელიმე საშუალო რუსის ოჯახში შეღწევას.

გავრცელებული ინფორმაციით, თავად ქართულმა კომპანიებმა თქვეს უარი რუსულ ბაზარზე დაბრუნებაზე, თუმცა ამის დამადასტურებელი ინფორმაცია არ არსებობს.

თავისუფალი საქართველოს ხელმძღვანელი კახა კუკავა საქართველოს ხელისუფლებას უკვე მერამდენედ მოუწოდებს რუსეთთან დიალოგისკენ.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა იხელმძღვანელონ არა ვლადიმერ პუტინის პერსონის იმიჯით და ვიწრო პარტიული ინტერესებით – რუსეთთან დიალოგით არ გაანაწყენონ პირადი ლობისტები დასავლეთში, არამედ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, რაც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

კუკავა აცხადებს, რომ დღეს ქართული პარტიების ლიდერები რუსეთთან დიალოგს ერიდებიან იმ მოტივით, რომ მათ არ გაანაწყენონ თავიანთი ლობი დასავლეთში და არავინ არ გამოდის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

კუკავა ხელისუფლების მზაობაზეც საუბრობს, რომელსაც ხშირად უთქვამს რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების მზაობის შესახებ.

– ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან. „თავისუფალი საქართველო“ მიიჩნევს, რომ ეს არის ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების რეალური შანსი. მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და დაიწყოს რუსეთთან პრობლემატურ საკითხებზე დიალოგი.

– „თავისუფალი საქართველო“ რამდენიმე თვეა აწარმოებს რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებს სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე და ჩვენ მზად ვართ, მომავალშიც აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირებისკენ მიმართულ ნებისმიერ პროცესში, – ნათქვამია განცხადებაში.



ამავე განცხადების მიხედვით, როგორც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რუსული მხარე მზად არის ქართველ საზოგადოებასთან ერთად დაიწყოს ქვეყნებს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესი.

როგორც ჩანს, „თავისუფალი საქართველო“ პუტინის ბოლო დროინდელ განცხადებას გარკვეული შანსის როლს ანიჭებს.

ასეთ შანსზე საუბრობენ ექსპერტები, რომლებიც აცხადებენ, რომ პუტინს, რომელსაც წინ საპრეზიდენტო არჩევნები აქვს, საქართველო დიდი თავისტკივილია შესაბამისად გარკვეული შანსები გაჩნდა, რაც ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ.

აქამდე გამართულ შეხვედრებს, რომლითაც ხშირად თავს ნინო ბურჯანაძე იწონებს, შეიძლება ვუწოდოთ შეხვედრა – შეხვედრისთვის.

კუკავა კი პირობას დებს თუ ხელისუფლება არ დაიწყევს მოლაპარაკებებს რუსეთთან, ის ამ მისიას გააგრძელებს, მაგრამ რამდენად წარმატებულად, ამას დრო გვიჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ზაუტაშვილმა დირიჟორობა დაიწყო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რეპერტუარი კი შეთანხმებული იყო როგორც ბიზისთან, ასევე ჟიურის თავმჯდომარე ვახტანგ კახიძესთან. კენჭისყრის მიხედვით კი ონისე ონიანს – შავლეგ შილაკაძე, ხათუნა გოგორიშვილს – რევაზ ტაკიძე, ლევან ვეფხვაძეს გიორგი ჟორდანია შეხვდა, მერაბ სანოძეს – ვადიმ შუბლაძე, ნინო ზაუტაშვილს – თამაზ ჯაფარიძე და გოგიტა გეგელაშვილს – გივი მუნჯიშვილი. პროექტს ერთი კონკურსანტი გოჩა კაპანაძე ისე გამოეთიშა, რომ მან მეცადინეობაც კი ვერ მოასწრო. გოჩამ თეატრში რეპეტიციის დროს მხარი ამოიგდო, თუმცა გალაკონცერტზე შეკრებილმა საზოგადოებამ გოჩას არტისტულობა და შესაძლებლობები მაინც შეაფასა. ტურებიდან გავარდნილი კონკურსანტები კი დარჩენილ „მაესტროელებს“ აქტიურად გულშემატკივრობდნენ და კონცერტებსაც ესწრებოდნენ.

პროექტში ჩამბული „მაესტროების“ მუშაობას ჟიური აფასებდა. ჟიურის თავმჯდომარე მაესტრო ვახტანგ კახიძე იყო, მის შემდაგენლობაში კი გაერთიანდნენ ნანა დიმიტრიადი, მანანა ახმეტელი და ნოდარ ჟვანია. ჟიურის თავმჯდომარემ თავიდანვე ყველა გააფრთხილა, რომ მკაცრი იქნებოდა და ყველა ტურში მისი სიმკაცრე კარგად წარმოჩნდა. ჟიურის თავმჯდომარის ვატო კახიძის თქმით, ეს პროექტი პირველ რიგში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას და დირიჟორის პროფესიაში ჩახედვას ემსახურება:

– პროექტის დაწყებამდე ნამდვილად იყო ეჭვი, რამდენად მიიღებდა მას მაყურებელი. პროექტი დასრულდა და მინდა გითხრათ, რომ სასიამოვნო მოულოდნელობით კმაყოფილი ვარ. პროექტის ტურების დროს დარბაზი გადავსებული იყო. რამდენადაც ვიცი, გადაცემას დიდი რეიტინგი ჰქონდა. რაც შეეხება მონაწილეებს, ყველა ნიჭიერი იყო. მეტ-ნაკლებად ყველას ვიცნობდი. თავიდან ძალიან თავდადებულად იშრომეს ცალკე კონცერტმეისტერთან, ცალკე სოლისტებთან და კვარტეტებთან. ყველა მონაწილემ ერთნაირად „მოიშხამა“ თავი კლასიკური მუსიკით და დირიჟორობით. პედაგოგებმა დიდი შრომა გაწიეს. მე როგორც ჟიურის თავმჯდომარე, მათთან დისტანცირებულად უნდა ვყოფილიყავი. საოცარი იყო ის პროგრესი, რასაც თითოეული მათგანი ერთი კვირის განმავლობაში განიცდიდა. რაც შეეხება ნინოს გამარჯვებას, მიმაჩნია, რომ ორკესტრის მიერ მისი არჩევა სამართლიანი იყო. ორკესტრში პროფესიონალები არიან, ვერაფერს გამოაპარებ. ორი თვის განმავლობაში კონტაქტში იყვნენ შემსრულებელთან. ისინი მნიშვნელობას იმას ანიჭებენ, რომელ დირიჟორთან მეტად კომფორტულად გრძნობენ თავს. ფინალში გაირკვა, რომ ნინომ სხვებზე უკეთ შეძლო დირიჟორობა. იმ შედეგის მიხედვით, რაც მივიღეთ, ჩემი აზრით, ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს.

პროექტის მუსიკალური ტურები ჯანსულ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში ტარდებოდა, სადაც დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. როგორც პროექტის დასრულების შემდეგ მისი ავტორები საუბრობენ, პროექტი შედგა და ის მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

როგორც ცნობილი გახდა, გადაცემაში მონაწილეობის სურვილი ბევრს არ გამოუთქვამს. თუმცა მისი შემქმნელები იმედს იტოვებენ, რომ პირველი პროექტის დასრულების შემდეგ მსურველები უფრო აქტიურად გამოჩნდებიან. პირველი პროექტის საუკეთესო „მაესტრო“ კი ტელეწამყვანი ნინო ზაუტაშვილია, რომელმაც მიწვევები უკვე მიიღო და როგორც თავად ხუმრობს, ზარს ახლა უკვე ლასკალადან და ვენის ფილარმონიიდან ელოდება.

ნინო ზაუტაშვილი, ტელეწამყვანი:

– რადგან იმ რვა ადამიანს შორის მოვხვდი, ვინც პროექტში მონაწილეობდა, უკვე გამარჯვებული ვიყავი. ასე ვფიქრობ, ახლაც და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ასეთ პროექტში მონაწილეობა უკვე გამარჯვების ტოლფასია. რა მოხდებოდა და როგორ, ეს უკვე ღვთის ნებაც იყო და ცოტა ჩვენიც, თუმცა მარტო ჩვენს შესაძებლობებზეც არ იყო დამოკიდებული, ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული ჩვენს პედაგოგებზე, რომლებმაც არაჩვეულებრივი ორი თვე გაატარეს ჩვენთან ერთად. მათ არანორმალურად წარმოუდგენელი შრომა გაწიეს. სად როცა ახალგაზრდას ასწავლი და სად როცა ასწავლი ზრდასრულ ადამიანს, რომლისთვისაც ათვისების უნარი გაცილებით რთულია, ვიდრე პატარა ასაკში.

*– ანწვალეთ პედაგოგი?*

– ვაწვალე იმდენად, რამდენდაც ყოველ დღე ოთხ-ოთხი საათი ვმეცადინეობდით. ახალი წელიც კი არ არსებობდა ჩვენთვის – 31 დეკემბერსაც, პირველ იანვარსაც, ორშიც, სამშიც ვმეცადინეობდით. ასეთი ახალი წელი არც მქონია, ვერ გავიგე, როგორ მოვიდა და როგორ შევხვდით. მთავარი იყო, რომ არ შეგვერცხვინა თავი და პასუხისმგებლობით მოვიკიდებოდით ამ ამბავს. ჩემი პედაგოგი ბატონი თამაზ ჯაფარიძე და კონცერტმაისტერი ქალბატონი თამარ ჭარიშვილი არიან ის საოცარი ადამიანები, რომლებმაც ძალიან დიდი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში. არაჩვეულებრივია თბილისის სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც ძალიან დიდი ნდობა გამომიცხადა და დღესაც სულ ვფიქრობ, რით დავიმსახურე მათი ნდობა. ეს საკმაოდ დიდი პატივი იყო ჩემთვის და ძალიან დიდი მადლობა მათ ამის გამო. თან, ცნობილია, რომ ქალი მაესტრო იშვიათია. შევედი, მთელი ინტერნეტი გადავქექე და მოვიძიე ყველანაირი ინფორმაცია. რამდენიმე ქალია სულ დირიჟორი, ერთი ხელის თითები ეყოფა ჩამოსათვლელად.

*– წარმოგედგინათ, რომ ოდესმე დირიჟორი გახდებოდით?*

– კლასიკური მუსიკა ყოველთვის მიყვარდა და ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო კლასიკური მუსიკის სიყვარულის ტრადიცია. მამას ჰქონდა არაჩვეულებრივი კოლექცია, მაშინ ვინილის ფირფიტებზე იყო ყველაფერი. მახსოვს არაჩვეულებრივი ბიზეს „კარმენის“ ფირფიტა, პირველი რაც მოვისმინე ბავშვობიდან, ალბათ ეს იყო. როცა კენჭისყრის დროს ბიზეს „კარმენი“ ამომივიდა, გულში გამკრა, რომ ეს შეიძლება წარმატების და კარგის ნიშანი ყოფილიყო. ხომ იცით, როცა ექსტრემალური სიტუაციაა, ყველაფერს აქცევ ყურადღებას. კარგად დამებედა „კარმენი“. მერე უკვე საოცარი ნაწარმოებები შემხვდა. ბიზემ კი ნამდვილად გადამწყვეტი როლი ითამაშა.

*– ბიზეს გარდა შეგხვდათ საყვარელი ნაწარმოებები, რომელსაც სიამოვნებით უდირიჟორეთ?*

– ფაქტიურად ყველა. ბატონმა თამაზმაც მითხრა, რომ რეპერტუარში ძალიან გაგვიმართლაო. შემხვდა რახმანინოვი, ვაგნერი, ყველა იყო საოცრად კარგი და რაც მთავარია, შემხვდა ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია.

*– გამოდის, იღბლიანი ხართ?*

– რა თქმა უნდა. ამ არაჩვეულებრივ ნაწარმოებს რომ შეასრულებ და ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიით დააგვირგვინებ, ნამდვილად გამართლება და იღბალია. შეიძლება ადამიანმა მთელი ცხოვრება ამ სფეროში იმოღვაწევო, მაგრამ ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია არ გქონდეს შესრულებული.

*– ადვილად დათანხმდით პროექტში მონაწილეობას?*

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დავდგებოდი სადირიჟორო პულტთან და ორკესტრს ვუდირიჟორებდი. ამაზე არც მიფიქრია. როცა დამიძახეს და მითხრეს, რომ კეთდება პროექტი და გვინდა შენც მიიღო მონაწილეობაო, ერთი წამით არ მქონია ორჭოფობის მომენტი და არც მიფიქრია, მაშინვე ვთქვი, რომ კი, ძალიან მიყვარს მუსიკა და სიამოვნებით გამოვცდი ჩემს თავს-მეთქი. ხომ შეიძლება მეთქვა, ვაიმე, რომ არ გამომივიდეს-მეთქი. იმ წუთას ვთქვი, რომ კი, მინდა, ძალიან მიყვარს ეს ყველაფერი და რატომაც არა-მეთქი.

*– ელოდით გამარჯვებას?*

– გამიხარდა-მეთქი, რომ ვთქვა, ეს ის სიტყვა არ არის. უბედნიერესი წამებია, როცა შენზე აკეთებენ არჩევანს. გამიხარდა ის, რომ ამდენმა ადამიანმა გადაწყვიტა, რომ იმ პერიოდში სამუშაოს შესრულების დროს მათთვის ვიყავი კომფორტული, ეს ძალიან სასიამოვნოა. დირიჟორობა და კონცერტზე გამოსვლა არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. პროექტის მონაწილეები კარგა ხნის მეგობრები ვართ და ამიტომ ჩემთვის ძალიან მძიმე იყო მათთან ეტაპობრივად განშორება. ბოლო სამეულში კი ხათუნა გოგორიშვილისა და ლევან ვეფხვაძის სახით არაჩვეულებრივი კონკურენტები მყავდა. ეს ორი თვე ჩემთვის ღმერთის საჩუქარი იყო. ბედნიერი დღეები გავატარე კლასიკური მუსიკის გარემოცვაში და იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ამ მუსიკით ცხოვრობენ. დირიჟორის პროფესიის დაუფლებას ორ თვეში ვერ შეძლებ და ამაზე პრეტენზია არავის აქვს. „მაესტრომ“ ღირებულებები აბსოლუტურად გადამიფასა, სხვა სიღრმეებს დავეუფლე. ხაზგასმით მადლობას ვუხდი ორკესტრს. თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ მათთან ურთიერთობით და ის დამოკიდებულება, რაც ჩემდამი გამოხატეს, მთელი ცხოვრება დაუვიწყარი იქნება. მთელი ჩემი ცხოვრება ოთხი მომენტისთვის ღირდა, ერთ-ერთი ნამდვილად ამ ხალხთან ურთიერთობაა.

*– მოიწამლეთ დირიჟორობით?*

– რა თქმა უნდა, ამას ვაღიარებ. ეს ის საწამლავია, რომელსაც სიამოვნებით იღებენ ადამიანები, შექსპირის ჯულიეტას ვარიანტია. მზად ვარ, ეს მტვერი შევისრუტო ცხოვრების ბოლომდე.

*– თქვენი პროფესია, მსახიობობა დაგეხმარათ ამ ყველაფერში?*

– რა თქმა უნდა. დირიჟორობა – ეს არის პროფესია, როცა სცენაზე ხარ პრეზენტატორი და ხარ ადამიანი, რომელიც მართავ ორკესტრს და თან ამ ყველაფერს მაყურებლისთვისაც აკეთებ. ძალიან გამიხარდა, როცა პროფესიონალებმაც დამიდასტურეს, რომ არტისტიზმი აქ მთავარია. ეს არ არის ის შემთხვევა, როცა პარტიტურით არ სწავლობ დეტალურად ყველაფერს, აქ იმიტაცია უმთავრესია. აქ ყველაფერს შეზღუდული ვადებით ვსწავლობდით. როცა ერთ კვირაში უნდა იდირიჟორო ვაგნერი, ასეთ შემთხვევაში არტისტულობა ერთ-ერთი წამყვანია და ასეა ზოგადად ამ პროფესიაში. კი, ისწავლი თვლას, ისწავლი ყველაფერს, მაგრამ იმდენი რაღაცაა, არტისტულობა ყველაზე რთულია, იგივე იმიტაციის უნარი, მართვის პროცესში ზეაწეული არტისტულობაა მთავარი. ეს ყველაფერი ისეთი აუცილებელია, როგორც ჰაერი. გარკვეული სიმპათია უნდა არსებობდეს მაყურებელს, დირიჟორს და ორკესტრს შორის, ეს რაღაცნაირი წრედია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიკრას, ამას კი იმდენი კომპონენტი სჭირდება, რომ მარტო ერთი თვისებით ვერ მიაღწევ, ყველაფერი კომპლექსურად არის საჭირო. მაყურებელი არასოდეს ფიქრობს, რას აკეთებ, ის უბრალოდ გიყურებს და ტკბება იმ მუსიკით, რაც ჟღერს. ამას ვამბობ ჩვეულებრივ მაყურებელზე, რომელიც არ არის პროფესიონალი, არ აფასებს შენს პროფესიონალიზმს და უბრალოდ კარგი მუსიკის მოსასმენად მოდის.

*– ბევრი დილეტანტი ამბობს, დირიჟორს არც კი უყურებს ორკესტრიო...*

– არა, რა სისულელეა. ორკესტრს ვერ გამოაპარებ ვერც ერთ მოძრაობას. მას შეუძლია როგორც გადაგარჩინოს, ასევე იყოს ძალიან დაუნდობელი და ჩაგიგდოს ყველაფერი.

*– თქვენ გადაგარჩინათ ორკესტრმა?*

– ნებისმიერი შესრულების დროს დამჭირდა მათი დახმარება. მე ხომ არაპროფესიონალი ვარ, რომელმაც ერთი კვირის განმალობაში ავითვისე რაღაცები და ფაქტიურად, მაიმუნივით ვიქნევდი ხელებს. სწორედ აქ იყო ორკესტრის საოცარი მხარდაჭერა და დამოკიდებულება ჩვენ მიმართ და განსაკუთრებულად ამ შემთხვევაში ჩემ მიმართ, რადგან ბოლო შედეგები ჩემთვის იყო აბსოლუტურად მოულოდნელი. ნამდვილად არ დავიზარებ არასოდეს მათთვის გულთბილ სიტყვებს და არც მხარდაჭერას, თუკი რაიმე ამ ორკესტრს დასჭირდება. ღმერთმა არ დააჭირვოს ჩემი დახმარება, ან რაში შეიძლება გამოვადგე, მაგრამ ყოველთვის მზად ვიქნები. მქონდა მომენტი, როცა ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას ვასრულებდი, ძალიან ცუდად გავხდი, ფიზიკურად ვერ ვიყავი კარგად, სუნთქვა აღარ მყოფნიდა, მათგან ისეთი მხარდაჭერა ვიგრძენი, რომ მომეცა ძალა, ყველაფერი გამეგრძელებინა.

*– რთულია კონკურსანტობა?*

– ცუდი მომენტია, როცა შენი მეგობრები არიან და კონკურსია, ამას უსიამოვნო მომენტები ახლავს თან. როცა არჩევანი დადგა ჩემსა და ხათუნას შორის, ეს ჩემთვის მძიმე იყო. იმისთვის, რომ გახვიდე სცენაზე და ბეთჰოვენი იდირიჟორო, მართლა რკინის ნერვები გჭირდება. ცოტა მიმტყუნა ნერვებმა, მაგრამ ორკესტრმა ძალიან დამიჭირა მხარი.

*– პროექტი უკვე დასრულდა, შეგიძლიათ გვითხრათ, ყველაზე მეტად რომელი კონკურსანტის გეშინოდათ?*

– აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით, შიშით არავისი მეშინოდა, სულ სხვანაირად ვუდგებოდი ამ პროექტს. ყველაზე მეტად პროცესი მაინტერესებდა, თორემ ქულები არც მახსოვს, ვინ რამდენი დამიწერა, ვის ვასწრებდი, ვინ მასწრებდა. მე ყოველდღე სტუდენტივით დავდიოდი კონსერვატორიაში ჩემი საყვარელი და ლამაზი ჯოხით და ვმეცადინეობდი, ვესწრებოდი ლექციებს. ამ პროცესმა ისეთ ღრმა ბავშვობაში გადამაგდო, რით დამთავრდებოდა, როდის და როგორ, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძალიან ძლიერები იყვნენ ხათუნა გოგორიშვილი, მერაბ სანოძე, გოგიტა გეგელაშვილი. ყველა კარგი იყო. მიმაჩნია, გოჩა კაპანაძე რომ არ გავარდნილიყო, ის იქნებოდა ერთ-ერთი მარგალიტი ამ პროექტის. გოჩა აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გავარდა. მას აქვს არაჩვეულებრივი გულწრფელი არტისტულობა. ეს გალაკონცერტზეც გამოჩნდა. მან მეცადინეობაც კი ვერ მოასწრო. სულ ვეუბნებოდი, ნეტავ ეგ მხარი არ ამოგვარდნოდა, იქნებოდი შესანიშნავი-მეთქი.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)





## განცხადებები

- ვკერავთ ლოგინის თეთრეულს, ფარდებს, ავეჯის გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ალექს გარსია — ის მიზნები, რაც დასახული გვქონდა, შევასრულეთ

თბილისის „დინამომ" ესპანური შეკრების კატალონიური ნაწილი დაასრულა. ბარსელონაში ყოფნის 10 დღის მანძილზე გუნდმა ორჯერად ვარჯიშებთან ერთად 3 ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და სამივე მოიგო. რამდენიმე ფეხბურთელმა კი პირველად მოირგო „დინამოს" მაისური. გუნდში მიმდინარეობს იმ ფუნდამენტის ჩაყრა, რომელმაც თავი სეზონის განახლებისას უნდა იჩინოს. შეკრების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გულშემატკივრისთვის საინტერესო თემებზე, გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექს გარსიას საუბრობს, რომელიც კლუბის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ალექს გარსია:

– ის მიზნები, რაც დასახული გვქონდა, შევასრულეთ. ამხანაგური შეხვედრები, რაც დაგეგმილი გვქონდა, ვითამაშეთ. ამინდმაც ხელი შეგვიწყო. მზადების პირველი ფაზა დავასრულეთ. ძალიან კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, რაც კიდევ ერთი დიდი პლუსია. ისეთი ფეხბურთელები შემოგვიერთდნენ, რომელთაც საზღვარგარეთ თამაშის გამოცდილება აქვთ. ეს ის არის, რაც გვჭირდებოდა. ამხანაგურ თამაშებში მათ საქმეში ნახეს, რა სისტემით ვთამაშობთ. კონკრეტულად ანდრეუს რაც შეეხება, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი ნაკლებად იცნობს, გეტყვით, რომ იგი დაცვითი ფუნქციების ნახევარმცველია. ამ ადგილზე ჩვენ მხოლოდ კვეკვესკირი გვყავდა. ყველა პოზიციაზე ორი მოთამაშე უნდა გვყავდეს. ამის მიღწევა გვინდოდა. გუნდში კონკურენციის ხარისხი გაიზარდა. ვფიქრობ, ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული და დაბალანსებული გუნდი გვყავს. ის სუსტი ადგილები, რომელიც გვქონდა, შევსებულია. თუმცა ამა თუ იმ პოზიციაზე თუ კიდევ უფრო ძლიერი ფეხბურთელის მოყვანის შესაძლებლობა იქნა, უარს არ ვიტყვით, ვნახოთ. ვცდილობთ, ახალ ფეხბურთელებს ჩვენს სათამაშო სისტემაში ადგილი მივუჩინოთ. უკვე რეალურად გამოჩნდა ნახევარდაცვის და შეტევის გაძლიერების კონტურები. მიუხედავად იმისა, რომ მარბელაში უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი თამაშებია, შედეგს მაინც არ ექნება პრიორიტეტული მნიშვნელობა. კმაყოფილი ვარ ბიჭებითა და მათი მონდომებით.

გუნდში არსებულ სიტუაციასა და ესპანურ შეკრებაზე ისაუბრა თბილისის „დინამოს" მეკარე გიორგი ლორიამაც. ფეხბურთელის თქმით, გუნდში ისეთი კონკურენციაა, რომ სასტარტო შემადგენლობის შერჩევა რთულია.

**გიორგი ლორია:**

– პრაქტიკულად გუნდის ხელახალი ფორმირება ხდება. შეთამაშების პროცესში ვართ. გუნდში ისეთი კონკურენციაა, რთულია სასტარტო შემადგენლობის შერჩევა. წინ ძალიან საინტერესო ტურნირი გველის. მომავალი შეხვედრები დაეხმარება მთავარ მწვრთნელს გუნდის ძირითადი ბირთვის შერჩევაში. თითქმის 10 დღეა აქა ვართ და ბუნებრივია მონატრების გრძნობაც ჩნდება – პირველ რიგში ოჯახი, მეგობრები. ოთახში ჩვენს კაპიტანთან ერთად ვცხოვრობ. მის გვერდით ყოფნა ერთი სიამოვნებაა. თავისუფალ დროს აიპადით ვერთობი. კოშკამ ჯარიმების დარტყმებში რეკორდი მოხსნა, რომლის განმეორებაც ჩვენმა ახალწვეულმა სანდრო გურულმა შეძლო. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გაცილებით უკეთესად ვითამაშებთ და ჩემპიონობის შანსიც რასაკვირველია, გვაქვს. ბარსელონას ყველანი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ვტოვებთ. საგრადა ფამილია, ლა რამბლა და ბევრი სხვა. „ბარსელონა" და „კამპ ნოუ" ძალიან მაგარია. არაჩვეულევრივი გარემო იყო – ნამდვილი საფეხბურთო დღესასწაული.

# 17-წლამდელებმა გამარჯვებით დაიწყეს

<u>ბელარუსი-საქართველო 3:4</u>

**0:1 ჯიქია (23), 1:1 რასადკინი (30პ), 2:1 კორზუნი (32), 2:2 ჯიქია (54), 2:3 ახვლედიანი (62), 3:3 რასადკინი (71), 3:4 მესხი (80)**

**ბელარუსი:** ფრანცკევიჩი, ნაზარენკო, გორბაჩიკი, მოროზოვი, კაბორდა, კორზუნი, მილევსკი (იაროცკი 27), კაპლენკო (ჟურნევიჩი 54), ვოდიანოვიჩი (მეტლიცკი), კუჩეროვი (აზერსკი 58), რასადკინი

**საქართველო:** ადამია, კაკაბაძე, მელიქიძე (ცინცაძე 41), ჭანტურია, სამხარაძე, ჭეჭელაშვილი, გოროზია, ახვლედიანი (მაჭავარიანი 71), პაპუნაშვილი (მესხი 41), წილოსანი, ჯიქია (დარციმელია 67)

მატჩის დაწყებამდე, ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. თავად შეხვედრა კი, რომელიც პირველი სათამაშო დღის ყველაზე დრამატული და უხვგოლიანი აღმოჩნდა, ქართველთა სათამაშო უპირატესობით დაიწყო. მატჩის პირველივე წუთებზე, ჩვენი გუნდის გააზრებული შეტევა ჯიქიას დარტყმით დასრულდა – მეკარემ ბურთი გაჭირვებით მოიგერია, რომელიც საჯარიმოს ხაზთან მყოფ წილოსანს მიუვიდა და მანაც ძლიერად დაარტყა. ძელი რომ არა, ალბათ, ანგარიში ამ დროს გაიხსნებოდა.

მაისურაძის გუნდს სადავეები არც ამის შემდეგ გაუშვია ხელიდან. ჯერ ახვლედიანის ძლიერად დარტყმული ასცდა მცირედით ბელორუსთა კარს; მომდევნო ეპიზოდში კი, პაპუნაშვილის დარტყმულს მეკარე ფრანცკევიჩი დაეუფლა. ბელორუსები ჩვენს ნახევარზე კი გადმოდიოდნენ, თუმცა, გადამწყვეტ ფაზამდე მისვლა უჭირდათ.

23-ე წუთზე კი, ანგარიში საქართველოს ნაკრებმა გახსნა: გიგა სამხარაძემ საჯარიმოში კარგი პასი გაუკეთა დავით ჯიქიას, რომელმაც ბურთი კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო, ტრიალით კარგად დაუსხლტა მეურვეს და ნახევრად ვარდნაში მყოფმა აიღო მეტოქის კარი.

გაშვებული გოლის შემდეგ, მეტოქემაც „გაიღვიძა" და ზედიზედ რამდენჯერმე საკმაოდ მწვავედ შეუტიეს ადამიას კარს. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს კი, როცა ბურთი ცენტრში დავკარგეთ, საჯარიმოში შეჭრილი თავდამსხმელი ჩვენმა მცველმა ფეხებში ვარდნით შეაჩერა და მსაჯის რეაქციამაც არ დაიგვიანა – პენალტი! თერთმეტმეტრიანი ზუსტად გლებ რასადკინმა შეასრულა – 1:1.



გატანილი გოლიდან ზუსტად 2 წუთში კი, მასპინძლებმა მეორე ბურთის გატანაც შეძლეს. გაშვებულის გოლის გამო დაბნეული ქართველები სანამ გონს მოვიდნენ, უკანა ხაზში დაშვებული მორიგი შეცდომის შემდეგ, კვლავ კონტრშეტევა გაგვეპარა და ბელორუსები უკვე ნიკიტა კორზუნმა დააწინაურა. მასპინძლებმა ტაიმი 2:1 მოიგეს.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე, ვასილ მაისურაძემ გუნდის შემადგენლობაში ორმაგი ცვლილება განახორციელა და მოედანზე აჩიკო მესხი და მათე ცინცაძე შეუშვა. ამ ცვლილებებმა აშკარად გაამართლა, რადგან ორივე მათგანმა თამაში აშკარად გაამწვავა.

ანგარიშის გათანაბრება 54-ე წუთზე შევძელით, როცა ცენტრიდან დაწყებული შეტევის შემდეგ, ახვლედიანისა და ჯიქიას ოსტატურად გათამაშებულმა „კედელმა" ბელორუსი მცველები სახტად დატოვა – ჯიქიამ ბურთი საჯარიმოში შეიგდო და თითქმის დაწოლილ მეკარეს დასწრებაზე გაუტანა.

მესამე გოლი 62-ე წუთზე გავიდა – ჭიაბერ ჭეჭელაშვილის პასის შემდეგ, საჯარიმოში შეჭრილმა ნიკა ახვლედიანმა თავის მეურვე მცველებსაც აჯობა და მეკარესაც და ჩვენი ნაკრების დაწინაურება შეძლო – 3:2.

თუმცა, სულ რამდენიმე წუთში, კვლავ დავკარგეთ ბურთი მოედნის ცენტრში და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებმა ტემპს უფრო მოუმატა. მოედანზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ მასპინძლებზე მეტად მონდომებულები, სწორედ, ქართველი 17-წლამდელები იყვნენ. მატჩის უკანასკნელი წუთი მიმდინარეობდა, როცა მაჭავარიანის პასის შემდეგ, საჯარიმოში ბურთსშეყოლილმა მესხმა ძლიერად დაარტყა; ბურთი დარტყმის მოსაგერიებლად ჩაწოლილ მცველს მცირედით შეეხო და კარში შევარდა – 4:3.

მატჩის ძირითადი დროისთვის დამატებული 3 წუთი ბელორუსთა ქაოტურ შეტევებში გაილია და საფინალო სასტვენმაც ვასილ მაისურაძის გუნდის პირველი და ძალზე საჭირო გამარჯვება დააფიქსირა.

– ძალიან რთული მატჩი იყო. თამაშის სადავეები ჩვენ გვეჭირა და, წესით, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, თუმცა უკანა ხაზში დაშვებული უაზრო შეცდომების გამო გავუშვით ის ბურთები, რამაც ამ თამაშის მოგება სათუო გაგვიხადა. მიუხედავად ამისა, მე ბიჭების მადლობელი ვარ იმ ბრძოლისუნარიანობისა და შეუპოვრობისთვის, რაც გამოავლინეს და რისი წყალობითაც შევძელით სამი ქულის მოპოვება, – განაცხადა მატჩის შემდეგ ვასილ მაისურაძემ.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ბელგიის ნაკრებმა ლატვია 4:0 გაანადგურა.

შეგახსენებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას მხოლოდ ჯგუფების პირველადგილოსნები აგრძელებენ, რომლებიც ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

# დუდა სანაძე — ახალი ქართული ტალღა

ასეთი სათაური აქვს ვებგვერდ ეუროჰოუპს-ზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელიც ქართველ კალათბურთელ დუდა სანაძეს მიეძღვნა. ისევე როგორც ამერიკაში, ევროპაშიც არსებობს ვებგვერდი, სადაც პერსპექტიული კალათბურთელების შესახებ წერენ და ეუროჰოუპსიც ასეთია.

ვენგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას უცვლელად გთავაზობთ.

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ბარსელონამ" და „კანტუმ" ითამაშეს. იტალიურ გუნდში ქართველი კალათბურთელები – გიორგი შერმადინი და მანუჩარ მარკოიშვილი გამოირჩეოდნენ. ისინი ჩამოყალიბებული მოთამაშეები არიან, თუმცა საქართველოში ახალი ნიჭიერი თაობა მოდის. თორნიკე შენგელიას გვერდით ჩვენ 1992 წელს დაბადებულ დუდა სანაძეს გამოვარჩევდით, რომელმაც გასულ სეზონში კანარიული სკოლა გაიარა და სამშობლოში დაბრუნდა. სანაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა და მატჩში საშუალოდ ნათამაშებ 29 წუთში 15,5 ქულას, 3,2 მოხსნას და 1,6 პასს აგროვებს. 2 წლის წინ, ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის დივიზიონში დუდამ ბომბარდირთა შორის 18,7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო გასულ ზაფხულს, ბოსნიაში, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად დივიზიონის საგზური მოიპოვა.

– რას მოელი მიმდინარე სეზონისგან?

– ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაა.

– რას იტყვი შენი ქვეყნის ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეებზე?

– საქართველოში ახალგაზრდა კალათბურთელების დონე მაღლა იწევს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელი მოთამაშეები მომრავლდნენ და ჩვენ მათგან ბევრ დადების ვითვისებთ.

– გარკვეული დრო კანარიის საკალათბურთო აკადემიაში გაატარე. რატომ გადაწყვიტე იქ გამგზავრება?

– ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მსურს, საბოლოოდ ამერიკაში წავიდე. ვიცი, რომ კანარიის აკადემია ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო სასწავლებელია ევროპაში და ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი დონე იქ ამემაღლებინა. სამწუხაროდ, ესპანეთში დიდ ხანს ვერ დავრჩი. სავიზო პრობლემები შემექმნა და სამშობლოში დავბრუნდი.

– რას იტყვი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შანსებზე, რომელსაც მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონში უწევს თამაში?

– შემარგენლობა ისეთი ძლიერი არაა, რომ ტიტულისთვის ვიბრძოლოთ, თუმცა შედეგის მისაღწევად ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ.

## <u>ფეხბურთი</u>

### აფრიკის ერთა თასი

კოტ დივუარი-სუდანი ................... 1:0
ბურკინა ფასო-ანგოლა ................. 1:2

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ტოტენჰემი .......................... 3:2
არსენალი-მანჩესტერი .................. 1:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 22 | 17 | 3 | 2 | 60:18 | 54 |
| 2.მანჩესტერი | 22 | 16 | 3 | 3 | 54:21 | 51 |
| 3.ტოტენჰემი | 22 | 14 | 4 | 4 | 41:24 | 46 |
| 4.ჩელსი | 22 | 12 | 5 | 5 | 40:25 | 41 |
| 5.არსენალი | 22 | 11 | 3 | 8 | 39:32 | 36 |
| 6.ნიუკასლი | 22 | 10 | 6 | 6 | 32:30 | 36 |
| 7.ლივერპული | 22 | 9 | 8 | 5 | 25:21 | 35 |
| 8.სტოკი | 22 | 8 | 6 | 8 | 23:33 | 30 |
| 9.ნორვიჩი | 22 | 7 | 8 | 7 | 32:36 | 29 |
| 10.სანდერლენ. | 227 | | 6 | 9 | 29:24 | 27 |
| 11.ას.ვილა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:29 | 27 |
| 12.სუონსი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:27 | 26 |
| 13.ევერტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 22:26 | 26 |
| 14.ფულემი | 22 | 6 | 8 | 8 | 28:31 | 26 |
| 15.ვ.ბრომვიჩი | 22 | 7 | 4 | 11 | 22:31 | 25 |
| 16.ქპრ | 22 | 5 | 5 | 12 | 22:37 | 20 |
| 17.ბოლტონი | 22 | 6 | 1 | 15 | 28:47 | 19 |
| 18.ვულვზი | 22 | 4 | 6 | 12 | 25:40 | 18 |
| 19.ბლექბერნი | 22 | 4 | 6 | 12 | 33:45 | 18 |
| 20.უიგანი | 22 | 3 | 6 | 13 | 19:45 | 15 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ვალენსია .......................... 1:1
რაიო-მალიორკა ............................. 0:1
მალაგა-ბარსელონა ......................... 1:4
ლევანტე-სარაგოსა ......................... 0:0
რეალი-ბილბაო .............................. 4:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 16 | 1 | 2 | 67:18 | 49 |
| 2.ბარსელონა | 19 | 13 | 5 | 1 | 59:12 | 44 |
| 3.ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29:20 | 35 |
| 4.ლევანტე | 19 | 9 | 4 | 6 | 25:22 | 31 |
| 5.ესპანიოლი | 19 | 8 | 4 | 7 | 21:21 | 28 |
| 6.ოსასუნა | 19 | 6 | 9 | 4 | 22:31 | 27 |
| 7.ბილბაო | 19 | 6 | 8 | 5 | 27:23 | 26 |
| 8.ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 30:27 | 26 |
| 9.სევილია | 19 | 6 | 8 | 5 | 20:20 | 26 |
| 10.მალაგა | 19 | 7 | 4 | 8 | 22:28 | 25 |
| 11.ხეტაფე | 19 | 6 | 6 | 7 | 20:25 | 24 |
| 12.ბეტისი | 19 | 7 | 2 | 10 | 22:28 | 23 |
| 13.რაიო | 19 | 6 | 4 | 9 | 21:28 | 22 |
| 14.მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 17:24 | 22 |
| 15.სოსიედადი | 19 | 5 | 6 | 8 | 17:27 | 21 |
| 16.რასინგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15:23 | 20 |
| 17.გრანადა | 19 | 5 | 4 | 10 | 12:26 | 19 |
| 18.ხიხონი | 18 | 5 | 3 | 10 | 18:30 | 18 |
| 19.ვილიარეალი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:28 | 16 |
| 20.სარაგოსა | 19 | 2 | 6 | 11 | 14:33 | 12 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-სელტა ............................. 0:0
ბარსელონა ბ-ხერესი ....................... 2:0

### იტალია. სერია ა

ბოლონია-პარმა ............................. 0:0
ლეჩე-კიევო .................................. 2:2
ნოვარა-მილანი .............................. 0:3
პალერმო-ჯენოა ............................. 5:3
სიენა-ნაპოლი ................................ 1:1
უდინეზე-კატანია ............................ 2:1
ინტერი-ლაციო ............................... 2:1
კალიარი-ფიორენტინა ...................... 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 11 | 8 | 0 | 31:12 | 41 |
| 2.მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 40:17 | 40 |
| 3.უდინეზე | 19 | 11 | 5 | 3 | 28:14 | 38 |
| 4.ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30:20 | 35 |
| 5.ლაციო | 19 | 9 | 6 | 4 | 27:19 | 33 |
| 6.რომა | 18 | 9 | 3 | 6 | 28:20 | 30 |
| 7.ნაპოლი | 19 | 7 | 8 | 4 | 34:21 | 29 |
| 8.ატალანტა | 19 | 6 | 8 | 5 | 23:25 | 26 |
| 9.პალერმო | 19 | 7 | 3 | 9 | 24:27 | 24 |
| 10.ჯენოა | 19 | 7 | 3 | 9 | 25:34 | 24 |
| 11.კიევო | 19 | 6 | 6 | 7 | 16:22 | 24 |
| 12.კალიარი | 19 | 5 | 8 | 6 | 16:18 | 23 |
| 13.პარმა | 19 | 6 | 5 | 8 | 24:32 | 23 |
| 14.კატანია | 19 | 5 | 7 | 6 | 21:27 | 22 |
| 15.ფიორენტინა | 19 | 5 | 7 | 7 | 18:16 | 22 |
| 16.ბოლონია | 19 | 5 | 5 | 9 | 17:25 | 20 |
| 17.სიენა | 19 | 4 | 7 | 8 | 20:20 | 19 |
| 18.ჩეზენა | 19 | 4 | 3 | 12 | 13:30 | 15 |
| 19.ლეჩე | 19 | 3 | 4 | 12 | 20:36 | 13 |
| 20.ნოვარა | 19 | 2 | 6 | 11 | 18:38 | 12 |

## შედეგები

### იტალია. სერია ბ

ბრეშა-ნოჩერინა ............................. 2:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ჰამბურგი-დორტმუნდი ..................... 1:5
ლევერკუზენი-მაინცი ....................... 3:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 12 | 1 | 5 | 44:13 | 37 |
| 2.დორტმუნდი | 18 | 11 | 4 | 3 | 40:13 | 37 |
| 3.შალკე | 18 | 12 | 1 | 5 | 41:23 | 37 |
| 4.გლადბახი | 18 | 11 | 3 | 4 | 28:12 | 36 |
| 5.ვერდერი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:31 | 30 |
| 6.ლევერკუზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 25:24 | 29 |
| 7.ჰანოვერი | 18 | 5 | 9 | 4 | 20:24 | 24 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:19 | 23 |
| 9.ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 24:34 | 23 |
| 10.შტუტგარტი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:23 | 22 |
| 11.კიოლნი | 18 | 6 | 3 | 9 | 27:36 | 21 |
| 12.ნიურნბერგი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:28 | 21 |
| 13.ჰერტა | 18 | 4 | 8 | 6 | 24:28 | 20 |
| 14.ჰამბურგი | 18 | 4 | 7 | 7 | 22:32 | 19 |
| 15.მაინცი | 18 | 4 | 6 | 8 | 24:32 | 18 |
| 16.კაიზერი | 18 | 3 | 8 | 7 | 13:21 | 17 |
| 17.ფრაიბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 22:39 | 16 |
| 18.აუგსბურგი | 18 | 3 | 6 | 9 | 15:29 | 15 |

### საფრანგეთი. თასი

გაზელეკ .................... აიაჩო-ტრუა 1:0
ლუსიონი-ლიონი ............................ 0:2
ვალანსიენი-ბასტია ........................ 3:1
მარსელი-ლე ავრი ..................... 3:1(დდ)

### ჰოლანდია. ეხედივიზიონი

ვიტესი-ნაიმეგენი ........................... 0:1
ალკმაარი-აიაქსი ........................... 1:1
ვენლო-ფეინოორდი ......................... 2:1
გრონინგენი-ერაკლესი ..................... 2:1
უტრეხტი-პსვ ................................ 1:1

სატურნირო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ალკმაარი | 18 | 12 | 3 | 3 | 37:16 | 39 |
| 2.პსვ | 18 | 11 | 5 | 2 | 49:20 | 38 |
| 3.ტვენტე | 18 | 10 | 6 | 2 | 48:18 | 36 |
| 4. აიაქსი | 18 | 9 | 7 | 2 | 47:24 | 34 |
| 5.ჰერენვენი | 18 | 8 | 7 | 3 | 41:28 | 31 |
| 6.ფეინოორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 35:24 | 31 |
| 7.ვიტესი | 18 | 8 | 5 | 5 | 23:17 | 29 |
| 8.გრონინგენი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:29 | 29 |
| 9.როდა | 18 | 8 | 1 | 9 | 32:41 | 25 |
| 10.დენ ჰააგი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:34 | 22 |
| 11.ბრედა | 18 | 6 | 3 | 9 | 24:31 | 21 |
| 12.ერაკლესი | 18 | 5 | 5 | 8 | 28:27 | 20 |
| 13.ნაიმეგენი | 18 | 6 | 2 | 10 | 18:27 | 20 |
| 14.ვალვაიკი | 18 | 5 | 3 | 10 | 17:33 | 18 |
| 15.უტრეხტი | 18 | 4 | 6 | 8 | 29:36 | 18 |
| 16.ვენლო | 18 | 3 | 4 | 11 | 18:43 | 13 |
| 17.გრააფსხაპი | 183 | | 3 | 12 | 16:41 | 12 |
| 18.ექსელსიორი | 18 | 2 | 5 | 11 | 12:41 | 11 |

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ვოლენდამი-დენ ბოსხი ..................... 0:2
კამბური-იგლზი .............................. 1:1
სპარტა-დორდრეხტი ........................ 2:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ნასიონალი-ფეირენსე ...................... 2:0
ფერეირა-სეტუბალი ......................... 2:1
ბრაგა-რიუ ავე ............................... 2:1
პორტუ-გიმარაეში ........................... 3:1
ბენფიკა-ჟილ ვისენტე ....................... 3:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 16 | 13 | 3 | 0 | 41:13 | 42 |
| 2.პორტუ | 16 | 12 | 4 | 0 | 37:9 | 40 |
| 3.ბრაგა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:15 | 34 |
| 4.მარიტიმუ | 16 | 8 | 5 | 3 | 23:19 | 29 |
| 5.სპორტინგი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:14 | 28 |
| 6.გიმარაეში | 16 | 6 | 2 | 8 | 22:19 | 20 |
| 7.აკადემიკა | 16 | 5 | 4 | 7 | 18:20 | 19 |
| 8.ნასიონალი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:26 | 19 |
| 9.ოლჰანენსე | 15 | 4 | 5 | 6 | 17:20 | 17 |
| 10.ბეირა მარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:14 | 16 |
| 11.ჟილ ვისენტე | 16 | 3 | 7 | 6 | 14:26 | 16 |
| 12.ფეირენსე | 16 | 3 | 6 | 7 | 11:22 | 15 |
| 13.რიუ ავე | 16 | 4 | 2 | 10 | 14:23 | 14 |
| 14.სეტუბალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:26 | 14 |
| 15.ლეირია | 16 | 4 | 2 | 10 | 16:29 | 14 |
| 16.ფერეირა | 16 | 3 | 3 | 10 | 16:33 | 12 |

### ბელგია. პროლიგა

ვესტერლო-სტანდარდი ..................... 0:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

დოჰა-არისი .................................... 1:3
პანეთოლიკოსი-კერკირა .................... 1:1
ქსანთი-ოლიმპიაკოსი ....................... 1:0
ლევადიაკოსი-ოფი ........................... 0:2
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ............... 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-გენჩლერი ................... 0:1
ერჩიესი-გალათასარაი ....................... 0:0

## <u>კალათბურთი</u>

### ნბა. რეგულარული ჩემპიონატი

ვაშინგტონი-ბოსტონი ...................... 94:100
კლიპერსი-ტორონტო ....................... 103:91
მაიამი-მილუოკი ............................. 82:91
ნიუ ჯერსი-შარლოტი ....................... 97:87
ლეიკერსი-ინდიანა .......................... 96:98

## <u>ხელბურთი</u>

### ევროპის ჩემპიონატი

უნგრეთი-ისლანდია ......................... 21:27
ესპანეთი-ხორვატია ......................... 24:22
საფრანგეთი-სლოვენია ..................... 28:26

## <u>ჩოგბურთი</u>

### ავსტრალიის ღია პირველობა. კაცები

ცონგა-ნიშიკორი ...6:2;2:6;1:6;6:3;3:6
ნიურეი-კუკუშკინი ............ 6:1;6:1;6:0
ფერერი-გასკე .................... 6:4;6:4;6:1

### ქალები

კვიტოვა-ივანოვიჩი ................ 6:2;7:6
ჩჟენ ცზე-ერანი ...................... 2:6;1:6
უილიამსი!ს.-მაკაროვა ............ 2:6;3:6

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

პიტსბურგი-ვაშინგტონი ....... 4:3(ოტ)
ფილადელფია-ბოსტონი ...... 5:5(0:1ბ)
ანაჰაიმი-კოლორადო ...................... 3:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რუსთაველის თეატრში 18 წლამდე მაყურებელი არ დაიშვება

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში პრემიერაა. ექსპერიმენტულ სცენაზე ქართულ-ბრიტანული პროექტია წარმოდგენილი. ბრიტანელი რეჟისორი ალექსანდრე ზელდინი სპექტაკლზე უკვე ერთი თვეა მუშაობს. წარმოდგენაზე 18 წლამდე ასაკის მოზარდები არ დაიშვებიან, რადგან მასში საკმაოდ თამამი სცენებია.

– 6 ახალგაზრდა სასკოლო დერეფნის მსგავს ოთახშია გაჭედილი. ისინი ასაკისთვის შეუფერებელი ბავშვური თამაშებით ირთობენ თავს, ცდილობენ, საეჭვო მომავალს ოპტიმისტურად შეხედონ, მღერიან, ყვებიან ისტორიებს და მაყურებელს სთხოვენ დახმარებას, რათა საკუთარ ცხოვრებაში გაერკვნენ. ეს არის რეალურ ამბებზე აგებული საკმაოდ არასტანდარტული, უჩვეულო და თამამი წარმოდგენა. სცენაზე იხდიან, შიშვლდებიან და ძალიან თამამი სცენებია, რის გამოც სპექტაკლზე 18 წლამდე ასაკის მოზარდები არ დაიშვებიან. რეჟისორის გადაწყვეტილებით, რეპეტიციას თეატრის არც ერთი თანამშრომელი არ ესწრებოდა. მას სურდა, სპექტაკლის შექმნაში მხოლოდ შემოქმედებითი ჯგუფი ყოფილიყო ჩართული, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

„შემეხე“ – ასე ჰქვია რეალურ ამბებზე აგებულ სპექტაკლს, რომელიც ერთ მოქმედებაშია გადაწყვეტილი. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელებული 75-წუთიანი სპექტაკლის იდეის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ალექსანდრე ზელდინი, ტექსტზე მუშაობდნენ ალექსანდრე ზელდინი და დავით გაბუნია, მხატვარია ქეთი ნადიბაიძე, მუსიკა ნიკა ფასურის ეკუთვნის, რეჟისორის თანაშემწე კი ნათია კუპატაძეა. სპექტაკლში მონაწილეობენ ქართველი და ინგლისელი მსახიობები – დენიელ ეინსუორსი, ჯენეტ ეტუკი, ლუკ კლარკი, სალომე მაისაშვილი, შაკო მირიანაშვილი და თეკლა ჯავახაძე.

– ეს არ არის დასრულებული სპექტაკლი. მე და ჩემი კოლეგები ვიზრდებით აუდიტორიასთან ერთად, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა აუდიტორია ერთმანეთისგან განსხვავებულია. ჩვენ ამ სპექტაკლს აუცილებლად ვითამაშებთ სხვა ქვეყნებშიც და მიხარია, რომ პირველად საქართველოში წარვადგენთ. აქ ყოფნა და ქართველ აუდიტორიასთან მუშაობა ძალიან საინტერესოა. ამ სპექტაკლში ყველაფერი სიმართლეა, რადგან ჩვენ ყველამ გავიარეთ ის ეტაპები, რომელიც ამ წარმოდგენაშია ჩადებული, – ამბობს სპექტაკლის რეჟისორი ალექსანდრე ზელდი.

23, 24, 25 და 26 იანვარს საპრემიერო სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია. „შემეხე“ რუსთაველის თეატრისა და ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის მემორანდუმის ფარგლებში „იდიოტს კომპანისა“ და ბრიტანეთის საბჭოს პარტნიორობით განხორციელდა.

თებერვლის ბოლოს რუსთაველის თეატრი მორიგ პრემიერას გამართავს. ამჟამად საკუთარ ნამუშევარს მაყურებელს რეჟისორი ლევან ხვიჩია წარუდგენს. პროექტ „დასის“ ერთ-ერთი მონაწილე ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილზე“ უკვე მუშაობს. წარმოდგენაში ვაჟას საბავშვო პროზაა გაერთიანებული და სპექტაკლში ახალგაზრდა თაობის მსახიობები მონაწილეობენ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება რეჟისორმა იმ ფაქტორით აირჩია, რომ 2011 წელი ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მიეძღვნა. მასაც აქვს სურვილი, თავისი მოკრძალებული წვლილი ამ იუბილეს აღნიშვნაში შეიტანოს.

ვაჟას იუბილესთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრმა უკვე დადგა მისი უკვდავი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, თუმცა, ამჯერად თეატრის ხელმძღვანელობა უკვე ვაჟას საბავშვო პროზაზე შეჩერდა. სპექტაკლის ქორეოგრაფიაზე ილიკო სუხიშვილი იმუშავებს. ლევან ხვიჩიას მიერ დადგმული „ჩხიკვთა ქორწილი“ კი მაქსიმალურად მოძრავი და სხარტი იქნება.

რეჟისორმა მსახიობებთან ერთად მუშაობა ახალ სპექტაკლზე დეკემბრის ბოლოდან დაიწყო, „ჩხიკვთა ქორწილის“ პრემიერა კი თებერვალშია დაგეგმილი, ამიტომ თეატრში უწყვეტი რეპეტიციები მიმდინარეობს.

# სირიელმა ამბოხებულებმა დამასკოს კიდევ ერთი გარეუბანი დაიკავეს

სირიელმა ამბოხებულებმა დამასკოს კიდევ ერთი გარეუბანი – დუმა დაიკავეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მათ დედაქალაქის ამ რაიონის ქუჩები ბარიკადებით აქვთ გადაკეტილი.

ქალაქში სროლისა და აფეთქებების ხმა ისმის. არსებული ცნობით, წუხელ როგორც ამბოხებულთა, ისე პრეზიდენტ ასადის მომხრეების მხარეს, კიდევ რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა, თუმცა ზუსტი მონაცემები ჯერჯერობით არ ვრცელდება.

დუმა დამასკოდან 20 კილომეტრში მდებარეობს. იქ დაახლოებით 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომის მოთხოვნით, საპროტესტო აქციები 2011 წლის თებერვლიდან იმართება.

უფლებადამცავი ორგანიზაციების ინფორმაციით, არეულობას 5000-ზე მეტი ადამიანი შეეწირა. სიტუაციის გართულების გამო, არ არის გამორიცხული რამდენიმე ქვეყანამ დამასკოში საკუთარი საელჩოს დახურვის გადაწყვეტილება მიიღოს.

განიხილება ქალაქიდან საერთაშორისო დამკვირვებლების გამოყვანის საკითხიც, რომლებმაც სიტუაციის დარეგულირება ვერ შეძლეს. სირიაში ბრძოლები გრძელდება.



სირიის სახელმწიფო მედიის და ასევე ოპოზიციური წყაროების ცნობით, მარტო შაბათს სხვადასხვა შეტაკებების შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა.

სახელმწიფო სააგენტო „სანას“ ინფორმაციით, იდლიბის პროვინციაში გზაზე დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქებას 14 ადამიანი შეეწირა. ასევე თავდასხმა მოხდა საპატიმროს კუთვნილ ავტომანქანაზე, რომელსაც პატიმრები გადაყავდა. შეტაკების შედეგად 26 ადამიანი დაიჭრა. ხელისუფლება შეტევებში „შეიარაღებულ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# გიორგი მერებაშვილი: „დინამოში“ მარტო ფეხბურთზე ვფიქრობ“



ორწლიანი განშორების შემდეგ, გიორგი მერებაშვილი „დინამოს“ დაუბრუნდა. გიორგი ჩვენი გუნდის და საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი იყო. იგი ორჯერ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. მას არაერთი მატჩის ბედი გადაუწყვეტია ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. მერებაშვილი დღეს ისევ დინამოელია და საქართველოს ჩემპიონატისთვის გუნდთან ერთად ბარსელონაში ემზადება.

**მასთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

**გიორგი მერებაშვილი:**

– ჯერ კიდევ ივლისში იყო დაინტერესება „დინამოს“ მხრიდან, რამაც ძალიან გამახარა, ვინაიდან „დინამო“ მართლა გუნდზე მეტია ჩემთვის. მაშინ ვერ მოესწრო ჩემი ტრანსფერი. ახლა ბედნიერი ვარ, რომ კლუბები შეთანხმდნენ და ჩემს ოჯახს დავუბრუნდი. ძალიან მინდა, რომ „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშო. ამისთვის დავბრუნდი „დინამოში“ და იმედი მაქვს, დინამოს წარმატებებში ჩემს წვლილს შევიტან. მადლობა.

*– რა სხვაობაა უწინდელ და ახლანდელ „დინამოს“ შორის?*

– გუნდს რაც შეეხება, მაშინაც ბევრი ისეთი ფეხბურთელი იყო, რომელიც შეძლებდა თამაშის ბედის გადაწყვეტას, ანუ ლიდერი იყო. იგივე „ცრვენა ზვეზდასთან“ ძალიან ცოტა დაგვაკლდა. დიდი ხანი მოვდიოდით ერთად, ერთად გავიზარდეთ, შეკრული გუნდი იყო. მე ვფიქრობ, რომ ყოფილიყო შანსი იმ გუნდის შენარჩუნების, ჩვენ წარმატებას აუცილებლად მივაღწევდით. ახლა გაცილებით მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელია გუნდში თავმოყრილი. გაცილებით მეტი შემტევი ყაიდის მოთამაშეა. დიდი კონკურენციაა. ჯანსაღი კონკურენცია ზრდის ფეხბურთელს, რაც გუნდისთვისაც და ფეხბურთელებისთვისაც კარგია. აუცილებლად დრო არის საჭირო შეთამაშებისთვის. ამხანაგურ თამაშებში გამოჩნდა, რომ ჯერ ბოლომდე ვერ ვუგებთ ერთმანეთს. ეს დროის ამბავია. ნიჭიერი ფეხბურთელები არიან და დიდი დრო არ დაგვჭირდება. ვფიქრობ, მალე ისეთ ფეხბურთს ვითამაშებთ, როგორსაც ელის გულშემატკივარი. ბაზა, კლუბის მთელი ინფრასტრუქტურა... შედარება არ არის. პირველად რომ ვნახე, თვალებს არ ვუჯერებდი, ისეთი შეცვლილი დამხვდა ყველაფერი. ძალიან ბევრი ევროპული გუნდი ინატრებდა ასეთ პირობებს. ყველაფერი ისეა, რომ მარტო ფეხბურთზე უნდა იფიქრო. ასეთ პირობებში ვალდებულნი ვართ, სხვა უფლება არა გვაქვს, ისე უნდა ვითამაშოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა და გულშემატკივარი გავახაროთ.

*– ყველაზე უფრო რა დაგამახსოვრდა სერბეთში ყოფნის პერიოდიდან?*

– გასახსენებელი ბევრია, პირველი 6 თვე ძალიან რთული პერიოდი გავიარე. იყო მომენტები, როცა ვფიქრობდი, რომ მცდარი ნაბიჯი გადავდგი. რთულია იქ ლეგიონერისთვის ადგილის დამკვიდრება. მაგრამ 6 თვის შემდეგ, ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყო და ვითარება შეიცვალა. მადლობა ღმერთს, რომ შევძელი ჩემი ადგილის დამკვიდრება. ფეხბურთელების, მწვრთნელების და გულშემატკივრების მხრიდან ვგრძნობდი პატივისცემას და ეს დამატებითი სტიმული იყო, რომ ჩემი თავისთვის უფრო მეტი მომეთხოვა. გუნდის სრულფესოვან წევრად ვიგრძენი თავი. იყო ბევრი ისეთი მომენტი, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება – კარგიც და ცუდიც. ახლა უფრო კარგი მახსოვს. ღმერთს მადლობას ვეუბნები, რომ ეს ეტაპიც გავიარე და სხვა თვალით ვუყურებ ცხოვრებას. აქვე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს, რომელთა დიდ მხარდაჭერასაც სერბეთშიც ვგრძნობდი. განსაკუთრებით მეხმარებოდა მათი თანადგომა იქ ყოფნის პირველ პერიოდში.

*– აქ, ბარსელონაში ყველაზე უფრო რა მოგეწონა?*

– პირველ რიგში, „კამპ ნოუზე“ ბარსას თამაში. თამაშზე შექმნილი ატმოსფერო. როგორც ფეხბურთელი, ყველაფერს მაინც ფეხბურთის კუთხით ვხედავ. იგრძობა, რომ აქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს და იმედია, საქართველოშიც ასე იქნება. ასეა სერბეთშიც, სადაც შეიძლება კაცმა ფეხბურთისთვის თავისი ქორწილიც კი გადადოს.

*– შეკრებაზე სამი მატჩი ჩაატარეთ, ყველაზე უკეთესი თამაში რომელი იყო?*

– ჯერ ვარჯიშებზე მინდა ვთქვა. ალექს გარსიას ყველა ვარჯიში თამაშთან მიახლოებულია და მიხარია, რომ ასეთი ვარჯიშები გვაქვს. პირველი თამაში ალჟირის გუნდთან ყველაზე კარგი იყო. 3-4 დღის დაწყებული გვქონდა ვარჯიში და ძლიერი მეტოქე გვყავდა. კარგად დაბალანსებული და შეთამაშებული გუნდი იყო. „ესპანიოლთან“ და „ტერასასთან“ უფრო მეტად ვიმოძრავეთ. ტონუსში მოვიყვანეთ ჩვენი თავი. ნელნელა უნდა მოვუახლოვდეთ ჩვენს თამაშს.

*– როგორ ფიქრობ, ჩემპიონატის შეხვედრებში რომელ პოზიციაზე მოგიწევს თამაში?*

– ჩვენ 4-3-3 სქემით ვთამაშობთ. ფაქტობრივად, ეს 3 მატჩი შუაში 3 ფეხბურთელით ვითამაშეთ. მე, კოშკაძე და ძარია ხშირად ვცვლიდით პოზიციებს. ალბათ, ნახევარდაცვაში ვითამაშებ, ცენტრიდან და მარჯვნიდან.

*– თავისუფალ დროს როგორ ატარებს გიორგი მერებაშვილი?*

– ერთი დღე გვქონდა შედარებით თავისუფალი. ნაწილობრივ დავათვალიერე ბარსელონა, რამდენიმე ღირსშესანიშნავი ადგილი მოვინახულე.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საფრანგეთი ავღანეთს ვადაზე ადრე ტოვებს



ავღანეთის ნაციონალური არმიის ჯარისკაცმა კაპისას პროვინციის ქალაქ ტაგაბაში ფრანგ ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნა. აღნიშნული ინციდენტის დროს 4 ფრანგი ჯარისკაცი დაიღუპა, 16 კი დაიჭრა. ავღანელი ჯარისკაცი ფრანგმა ჯარისკაცებმა დააკავეს.

– ეს ტრაგიკული ინციდენტი, სამწუხარო და შემზარავია ჩვენთვის და მთლიანად ნატო-სთვის, – განუცხადა „ბი-ბი-სის“ ნატო-ს ოფიციალურმა პირმა.

– საფრანგეთი ფრანგი სამხედროების დაღუპვის შემდეგ ავღანური არმიის მომზადებაში მონაწილეობას წყვეტს, – განცხადება ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ გააკეთა. საფრანგეთის პრეზიდენტი ამ ფაქტს „მიულებელს“ უწოდებს და შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ავღანეთის არმიის წარმომადგენელმა ფრანგ ჯარისკაცებს ესროლა. მან ასევე განაცხადა, რომ ამჟამად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ავღანეთში იმყოფება. თავად საფრანგეთის პრეზიდენტი შესაბამისი საკითხების განხილვას ავღანეთის პრეზიდენტის საფრანგეთში ვიზიტის დროს გეგმავს.

– მივიღე გადაწყვეტილება, დაუყონებლივ გავგზავნო თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის ხელმძღვანელი ავღანეთში. ფრანგული არმიის მხრიდან სწავლების ყველა ოპერაცია და სამხედრო ოპერაციებში დახმარება შეწყვეტილია, – განაცხადა სარკოზიმ.

მამაკაცი, რომელსაც ავღანური სამხედრო ფორმა ეცვა და სამხედროებს ესროდა, დაპატიმრებულია. ავღანეთში ფრანგი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა ამჟამად დაახლოებით 4 ათასს ითვლის. ოპერაციის დაწყების დღიდან ავღანეთში 75 ფრანგი სამხედრო დაიღუპა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ყველამ გაითვალისწინეთ! ჰოროსკოპი 24 იანვრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფულს შოულობთ, ყველაფერს იყიდით. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ბოდიშის მოხდა გსურთ, ნუ დააყოვნებთ. **ლომი** – ჩვეულ ამპლუაში ხართ, ყურადღების ცენტრში. **ქალწული** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **ღრიანკალი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თხის რქა** – დაგაჯილდოვებენ, გახარებული ხართ. **მერწყული** – იყავით მიმტევებელი, თქვენი საქმე კარგად წავა. **თევზები** – დღევანდელი რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!



## კროსვორდი გ

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი თელავის რაიონში; 2. ლათინური ანბანის ბოლოდან მეორე ასო; 3. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 4. ქართველ მწერალ, ლეო შენგელაიას ფსევდონიმი; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 11. ნისლი, ბურუსი; 12. შხამიანი გველი; 13. გერმანელი მწერალი, რომან „სამი მეგობრის“ ავტორი; 14. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 15. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი; 17. სადაზღვევო მოწმობა; 19. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე ქორწილში.

**თარაზულად:** 5. ნორვეგიის, დანიის, შვეციის მეფეთა ტიტული; 6. ყოველთვიური ქართული ჟურნალი; 8. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. დიდი სატრანსპორტო, სამგზავრო გემი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული თავსამკაული; 13. გერმანული, მშრალი სამარკო ღვინო; 14. ამერიკული მეტსახელი; 16. უძველესი ქართული სამეფო; 18. ურჩი, ჯიუტი ცხენი; 20. ფრანგი მოდელიორი; 21. მე-18 საუკუნის ინგლისელი ადმირალი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ესპანეთი; 6. სტანდარტი; 9. აქციზი; 10. ნიანგი; 11. ლინზა; 1„. მარტი; 15. მაგიდა; 18. არაკი; 21. ტრამპლინი; 22. ემბარგო; 23. ნამგალი.

**შვეულად:** 1. ასპექტი; 2. „მიმინო“; 3. პარაგვაი; 4. მინიმალი; 7. თითლიბაზი; 8. კრიპტონი; 12. ფართინგი; 14. ვალტორნა; 16. ტრალერი; 17. ციტრონი; 19. პინა; 20. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სოლ; 2. იანკი; 3. დო; 4. ადამი; 5. რამლი; 6. პიანო; 7. რკალი; 8. აარე; 9. ტირი; 10. პომადა; 11. პაი; 12. ოლივიე; 13. ეტალონი; 14. აცე; 15. ავე; 16. კამეა; 17. ტუია; 18. ცეცე; 19. სია; 20. ვენა; 21. კალა; 22. რელე; 23. კეფირი; 24. კორო; 25. კოლონი; 26. ნიკ; 27. მაჟორი; 28. ალეპო; 29. ზერო; 30. ალო; 31. ზილი; 32. ეზო; 33. პი; 34. კიმონო; 35. პარანა.

სურათებზე: პეტა უილსონი; ალბერტო ჯილარდინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე მიყვარს ხორვატია და არა ევროკავშირი“



ხორვატიაში ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმი მიმდინარეობს. ქვეყნის მოსახლეობამ უნდა უპასუხოს კითხვას, სურთ თუ არა ხორვატია ევროკავშირს შეუერთდეს .

„ფრანს-პრესის“ ინფორმაციით, საარჩევნო უბნები 07:00 საათზე გაიხსნა და 19:00 საათზე დაიხურება. რეფერენდუმის პირველადი შედეგები კი მისი დასრულებიდან ერთ საათში გახდება ცნობილი.

ამომრჩეველთა აქტივობა რეფერენდუმის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს. ევროკავშირში ხორვატიის გაწევრიანების გადაწყვეტილებისთვის საკმარისია, შეკითხვას დადებითი პასუხი ამომრჩეველთა ნახევარმა გასცეს.

არსებული მონაცემებით, ევროკავშირში ხორვატიის გაწევრიანებას მოსახლეობის 60% უჭერს მხარს.

ქვეყნის პრეზიდენტის, ივო იოსიპოვიჩის განცხადებით, ხორვატიას მოლოდინი აქვს, ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს.

რეფერენდუმის შედეგის მიხედვით, ევროკავშირის წევრთა რაოდენობა შესაძლოა 28 ქვეყნამდე გაიზარდოს. ხორვატიის შესაძლო გაწევრიანების საკითხი ემთხვევა ევროზონის ქვეყნებში წარმოქმნილ ფინანსურ კრიზისს.

მიუხედავად ამისა, წინასწარი გამოკითხვებით, ხორვატიის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას. თუმცა, ქვეყანაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების წინააღმდეგია.

დღეს დედაქალაქ ზაგრებში პოლიციასა და ნაციონალისტებს შორის შეტაკებაც მოხდა. ხორვატი ნაციონალისტები, ევროკავშირში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებიან.

შაბათს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვესნა პუსიჩმა მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ კავშირის წევრობა ხორვატებს უსაფრთოხებას მოუტანს.

ხოლო ევროკავშირის მოწინააღმდეგე ათასამდე მოქალაქემ, რომელთა შორის უმრავლესობას ნაციონალისტები, ბალკანეთის ომის ვეტერანები და მემარჯვენე ფრთის წევრები წარმომადგენდნენ, ზაგრებში დემონსტრაცია გამართეს და პოლიციასთან შეტაკებაც მოუხდათ, როდესაც ევროკავშირის დროშის ჩამოგდებას შეეცადნენ. მათ ქონდათ ლოზუნგები: „მე მიყვარს ხორვატია და არა ევროკავშირი“.

ერთერთი დემონსნტრანტის განცხადებით, მათ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ბევრი სისხლი დაღვარეს და სხვე ქვეყნებთან გაერთიანებით ისინი დამოუკიდებლობას დაკარგავენ. პოლიციამ სამი დემონსტრანტი დააკავა. იუწყებიან, რომ არეულობაში რამდენიმე კაცი დაშავდა.

შარშან ხორვატიამ ევროკავშირთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად ხორვატია 2013 წლის ივლისში ბლოკის 28-ე წევრი გახდება.

ხორვატია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მისი ფართობი 56.500 კვ.კმია. ქვეყნის დედაქალაქი – ზაგრებია. სახელმწიფო სისტემა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ქვეყნის სათავეში, ამჟამად, პრეზიდენტი სტეპან მესიჩია. საკანონმდებლო ორგანოს ერთპალატიანი პარლამენტი – საბორი წარმოადგენს, რომელიც 151 წევრისგან შედგება.

ხორვატია ადმინისტრაციული დაყოფის კუთხით, 20 ოლქად და ერთ ქალაქად იყოფა. მოსახლეობა კი, 2003 წლის მონაცემებით, 4.422 ათასია, მათ შორის, ხორვატები 90 პროცენტს წარმოადგენენ, ხოლო სერბები – 4,5 პროცენტს.

ევროკავშირის მომავალი წევრის სახელმწიფო ენა ხორვატულია, აქვე, გავრცელებული ენებია: იტალიური, უნგრული, ჩეხური, სლოვაკური და გერმანული. ხორვატები კათოლიციზმის მიმდევრები არიან.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკას, ძირითად რესურს წარმოადგენს ნავთობი, მცირე რაოდენობით ქვანახშირი, ბოქსიტები, დაბალი ხარისხის რკინის მადანი, კალციუმი, ბუნებრივი ასფალტი, თიხა, მარილი და ჰიდროენერგია.

ხორვატიას ექსპორტზე გააქვს მარცვლეული, ხილი და ბოსტნეული, კარტოფილი, თამბაქო, ლითონის ნაკეთობანი და საფეიქრო ნაწარმი.

ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე – 4.640 დოლარია. ქვეყნის ვალუტა კი, კუნაა.

აღსანიშნავია, რომ ხორვატიის ისტორიული ქალაქს წარმოადგენს დუბროვნიკი, რომლიც XIII-XVII საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება ქვეყნის კულტურულ ცენტრებს, მსოფლიოში ცნობილია ზაგრების XVIII საუკუნის სასახლე, XIV საუკუნის რიეკას ციხე-სიმაგრე და ტაძარი.

ასევე, სპლიტი – ისტორიული ცენტრი დიოკლეტიანეს სასახლით, პლიტვიცეს ტბათა ეროვნული პარკი და დალმაციის სანაპირო.

შეგახსენებთ, რომ ხორვატია 1918 წლიდან, სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოში(იუგოსლავია) შედიოდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი, ნაცისტური მარიონეტული სახელმწიფო იყო. ის 1945 წლიდან იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციის წევრია. ქვეყანამ 1990 წელს სუვერენიტეტი გამოაცხადა და ახალი კონსტიტუცია მიიღო, რასაც სერბეთთან კონფლიქტი მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ 1992 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხორვატიის დამოუკიდებლობა ცნო.

# პალესტინას ისრაელთან მხოლოდ მშვიდობა სურს



პალესტინას ისრაელთან მშვიდობა და დიალოგი სურს. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ განცხადება პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა, დღეს, მოსკოვში გააკეთა.

– ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებების პროცესი განვაგრძოთ. კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა მისი მშვიდობიანი გადაწყვეტაა, – აღნიშნა აბასმა. ამის პარალელურად, მან ისრაელი პალესტინაზე გახშირებულ შეტევაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ თელ-ავივის თავდასხმების შედეგად ბოლო დროს, იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე ხუთი მეჩეთი დაიწვა.

პალესტინის პრეზიდენტი იმასაც აცხადებს, რომ თუ პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკებები „დამარცხდება“, ეს თელ-ავივის ბრალი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 16 თვიანი პაუზის შემდეგ, სულ ცოტა ხნის წინ ამანში ერთმანეთს ისრაელის მთავრობის მრჩეველი იცხაკ მოლჰო და პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელი საიბ არიკატი შეხვდნენ.

იორდანიული შეხვედრა ორ ეტაპად წარიმართა და დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებების პირველი ეტაპს ესწრებოდნენ „ახლო აღმოსავლეთის კვარტეტი“-ს (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, გაერო) წარმომადგენლები, ასევე კვარტეტის საგანგებო წარმომადგენელი ტონი ბლერი და იორდანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ნასრ ჯუდე.

საიბ არიკატმა იცხაკ მოლჰოს დოკუმენტაცია გადასცა, რომელშიც დაფიქსირებულია პალესტინელების პოზიცია საზღვრებისა და უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში.

აღნიშნულ დოკუმენტაციას ისრაელის ხელისუფლება გაეცნობა, – ამის შესახებ, ჟურნალისტებს, იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა.

საგანგებო პრეს-კონფერენციაზე ნასრ ჯუდემ ასევე განაცხადა, რომ „გარღატეხა არ შეინიშნება“, თუმცა მოლაპარაკებები პოზიტიურ ატმოსფეროში წარიმართა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საზღვრებისა და უსაფრთხოების საკითხებში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება ებრაულ დასახლებებში მშენებლობების პრობლემაც. ამავდროულად, ჯუდემ აღიარა, რომ ეს საკმაოდ რთული მოლაპარაკებებია და არავინ ელის, რომ ახლო ეს პროცესი მომავალში დასრულდება.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოლჰოსა და არიკატის არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

პოლიტიკური მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ნებისმიერი შეთანხმების შემთხვევაში, ისრაელი იორდანიის ველსა და საზღვარზე კონტროლს არ დათმობს.

„იერუსალემ პოსტისა“ და რადიოსადგურ „კოლ ისრაელ“-ის ცნობით, იორდანიის დედაქალაქში მორიგი შეხვედრა მალე იგეგმება, თუმცა პალესტინის ოფიციალური სააგენტო „ვაფა აღნიშნავს, რომ არიკატისა და მალჰოს მომავალი შეხვედრის თარიღი ჯერ უცნობია.

„ფათხისა“ და „ჰამასის“ წარმომადგენლების კომენტარები: ამანში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად, რამალაში სიტყვით გამოვიდა პარტია „ფათხ“-ის ლიდერი მაჰმუდ აბასი, რომელმაც კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების სანაცვლოდ, პალესტინის მხარე დასახლებებში მშენებლობების გაყინვას მოითხოვს. აბასმა ასევე დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო დიალოგის განახლებაზე, მხარეები შეთანხმებას 26 იანვრამდე ვერ მიაღწევენ, „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია“ „ახალ მკაცრ ზომებს“ მიმართავს.

ამ საკითხზე განცხადება გააკეთა აბასის მრჩეველმა უასლ აბუ იუსეფმაც. მისი თქმით, არიკატისა და მოლჰოს შეხვედრა სამშვიდობო პროცესის განახლებას არ ნიშნავს.

პალესტინის ნაციონალურმა ავტონომიამ მხოლოდ „კვარტეტი“-ს მოთხოვნა შეასრულა და დათქმულ ვადებში საზღვრებისა და უსაფრთხოების საკითხებზე საკუთარი წინადადებები წარმოადგინა.

„ფათხ“-ის კიდევ ერთმა ლიდერმა, ტერორისტული დაჯგუფება „ტანზიმ“-ის დამფუძნებელმა მარუან ბარგუტიმ, რომელიც სამუდამო პატიმრობას ისრაელის ციხეში იხდის, პალესტინის მასმედიას წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ სამშვიდობო პროცესმა კრახი განიცადა.

სააგენტო „მაანის“ ცნობით, ბაგრუტი პალესტინის ადმინისტრაციას მოუწოდებს სამშვიდობო პროცესთან მიმართებაში შეწყვიტოს „ილუზიების ექსპორტი“, ბოიკოტი გამოუცხადოს ისრაელს და შეიმუშავოს ახალი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება მშვიდობიან საპროტესტო აქციებზე. მოლაპარაკებების განახლების თაობაზე, ჰამასის პოზიცია „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის“ სპიკერმა სამი აბუ ზუჰრიმ გაახმოვანა.

მისი თქმით, ის იმედგაცრუებულია, რადგან პალესტინის ადმინისტრაციამ იორდანიის შეხვედრას ბოიკოტი არ გამოუცხადა, როგორც ამას ჰამასი მოუწოდებდა.

პალესტინა ერთ-ერთი ისტორიული სახელია მიწისა ხმელთაშუა ზღვასა და მდ. იორდანეს შორის, რამდენიმე მოსაზღვრე ტერიტორიებთან ერთად აღმოსავლეთითა და სამხრეთით. რეგიონის სახლწოდება წარსული სამი ათასწლეულის განმავლობაში განსხვავებული ფორმებით არსებობდა.

პალესტინის ტერიტორიაზე მოსახლე სემიტური მოდგმის ტომები რეგიონს უწოდებდნენ ქანაანს. პალესტინა ბერძნული წარმოშობისაა. პირველად ეს სახელი მოიხსენია ანტიკური ხანის ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ.

როდესაც ეს მიწები რომის იმპერიის ნაწილი გახდა, პროვინციას მისი ბერძნული სახელით მოიხსენიებდნენ (პალესტინა) და ეს სახელი დამკვიდრდა და გავრცელდა მთელ რომის იმპერიაში და მის გარეთ.

რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ პალესტინა აღმოსავლეთ რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (შემდგომში ბიზანტიის იმპერია).

შემდეგ იგი არაბების ბატონობის ქვეშაა. ამ პერიოდში ხდება არაბული მოსახლების მომძლავრება აღნიშნულ რეგიონში. არაბების შემდეგ, პალესტინას ახალი მფლობელები გამოუჩნდნენ თურქ-სელჩუკების სახით. შუა საუკუნეებში პალესტინა სისხლისმღვრელი ომების პოლიგონად იქცა, ევროპელი ჯვაროსნები და მაჰმადიანი მბრძანებლები ხანგრძლივ ბრძოლებს აწარმოებდნენ მის ხელში ჩასაგდებად. შემდეგ პალესტინა ოსმალური იმპერიის ნაწილი ხდება ხანგრძლივი დროით.

მე-20 საუკუნეში პალესტინის ტერიტორია ბრიტანელებს გადაეცა. ამ პერიოდში ჩნდება ებრაული დასახლებებიც, რომლებიც იზრდებოდა და ივსებოდა ებრაელი რეპატრიანტების ხარჯზე, რაც ადგილობრივ მუსლიმანურ მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1947 წლის 29 ნოემბერს გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ებრაული და არაბული სახელმწიფოები პალესტინის ტერიტორიაზე, არაბული სამყაროს დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად 1948 წლის 14 მაისს გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამჟამად პალესტინის ტერიტორიაზე არსებობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ისრაელისა (ებრაული) და პალესტინის (არაბული), თუმცა კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია.

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ნანი ჩხეიძე, შვილები რუსუდანი, ქეთევანი, სიძე დავით ხარშილაძე, შვილიშვილი ავთანდილი, და ნანა ჩიქოვანი, რძალი იფიგენია შარაშიძე, ძმისშვილები მარიკა, გიგლა, ეკა, გვანცა ჩიქოვანები, დისშვილები შოთა, თამუნა კაპანაძეები ოჯახებით, მძახალი ავთანდილ ხარშილაძე, ცოლისდა ქაჯანა ჩხეიძე, ქვისლი ზაურ მაისაია დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი გრიგოლის ძე ჩიქოვანი**

პანაშვიდი: 24, 25 იანვარს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 26 იანვარს, გამოსვენება 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, ქობულეთის ქუჩა №10.

სკოლის მეგობრები: ვახტანგ მგელაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, მიშა ხაჩატუროვი, მამუკა მინდელი, ზურაბ ცაგარელი, ოლისო ოქრუაშვილი, ედუარდ დაბრუნდაშვილი, ვალიკო ძებისაშვილი, ჟორა დავითულიანი, ალბერტ გორდაძე, კარლო ჟვანია დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ჩიქოვანი**

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## სირიელმა ამბოხებულებმა დამასკოს კიდევ ერთი გარეუბანი დაიკავეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ტერორისტებს“ ადანაშაულებს. მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია.

სხვა არაბულ ქვეყნებში მიმდინარე გამოსვლების მსგავსად, სირიელთა პროტესტიც ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობითაა გამოწვეული. დემონსტრანტები ითხოვენ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ასადთა კლანის გადადგომას, რომელიც უკვე 40 წელია მართავს ქვეყანას და რაც მთავარია, 1963 წელს ბაასისტური მთავრობის მიერ მიღებული „საგანგებო კანონის“ გაუქმებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში დღესაც იკრძალება ოპოზიციური პარტიები და საპროტესტო აქციები.

სირიამ 1946 წელს მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა საფრანგეთისაგან. 1958-61 წლებში ეგვიპტესთან ერთად შედიოდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ექვსდღიანი ომის შედეგად (1967) დაკარგა გოლანის მაღლობები, რომელსაც ახლაც ისრაელი აკონტროლებს. 1981-82 წლებში ჰქონდა სამხედრო კონფლიქტი ლიბანთან. 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში მონაწილეობდა ერაყის წინააღმდეგ.

## TV პროგრამა

სამშაბათი
24 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „მეორე შანსი„ 21.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.40 მხ. ფილმი „დიდი ღამე„ (ს. ტუჩი) 00.40 მოამბე 01.00 კავკასუს ლაივი 02.00 მხ. ფილმი „შენნაირი ღიმილი„ (18) 04.00 მხ. ფილმი „უცხო გული„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ელიტარული უბანი„ 20.00 მხ. ფილმი „ჯესიკა„ 01.00 მხ. ფილმი „ქალების მაამებელი„

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 17.00 სერ. 18.45 სერ.„მიყვარხარ ლოლა„ 19.50 სერ.„სახლი მეზობლად„ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.30 ტვმარკეტი 14.40 სერ. „დაკარგულები 6„ 16.00 სერ. „შურისძიების საფასური„ 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 19.05 სერ.„ბედისწერის ძალა„ 21.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 22.00 სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 სერ. „გოგონა გარეუბნიდან„ 23.50 ბიზნეს-ლიდერი 00.50 ნანუკას შოუ (გან.) 02.45 მხ. ფილმი „თაფლობის თვე„ (15) (ს. მილერი) 04.15 მხ. ფილმი „ჩუბინი„ (12) (დ. ჰოპერი) 06.30 სერ. „მარინა„

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. „ვერონიკა მარსი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „გაქცევა ველური კატის კანიონიდან„ 21.00 სერ. „ჯაშუში ქალი„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „ექიმი ქმორი„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ. „ოსტატი და მარგარიტა„ 15.15 სერ. „ექიმი ქმორი„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი „ისინი„ 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი „საფურცლის ძველი ტაძარი„ 10.45 დრო და ტარდიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი „დაგვიანებული სასიძო„ 13.45 კონცერტი— ლილიკო ნემსაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „დები ტრევისის საოცარი სახლი„ 15.55 მხ. ფილმი „თოვლის დედოფალი„ 1-ლი ნ. 17.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან 1-ლი ნ. 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი 01.25 მხ. ფილმი „ზოროს ნიღაბი„ 1-ლი ნ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,669

ევრო —2,1296

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759

რუსული რუბლი — 0,0526

**ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2





# 25 იანვრიდან!

## ჟურნალ „სარკესთან“ ერთად გაიყიდება საატესტატო საგამოცდო ტესტების პირველი ტომი

## ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია





## ლიონელ მესის ჩემპიონობის იმედი არ დაუკარგავს



ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში მადრიდის „რეალმა“ და „ბარსელონამ“ ერთნაირი ანგარიშით, 4:1 იმარჯვეს. კასტილიელებმა შინ „ბილბაო“ დაამარცხეს, ხოლო „ბარსელონამ“ სტუმრად „მალაგას“ მოუგო. მცირე განსხვავება ის არის, რომ თუ კრიშტიანუ რონალდუმ დუბლი გააზერხა, ლეო მესიმ მალაგელებს ჰეთ-ტრიკი შეუსრულა. ასეა თუ ისე, კატაკონიელები „რეალს“ 5 ქულით ჩამორჩებიან, ხოლო ბომბარდირთა დავაში მესის 3 ბურთით ნაკლები აქვს გატანილი პორტუგალიელ ფეხბურთელზე.

ვერ გეტყვით, რას ფიქრობს მესი ბომბარდირობაზე, მაგრამ ჩემპიონობის რომ სჯერა, ფაქტია და მისი გუნდის ჩემპიონობისთვის რბოლაში ჩამოწერა ჯერ ნაადრევად მიაჩნია.

— „მადრიდის „რეალის“ დაწევას შევძლებთ. ახლა მთავარია ტემპი არ დავაგდოთ, ხოლო „რეალი“ შეცდომას აუცილებლად დაუშვებს. „მალაგასთან“ მატჩი კი რთული გამოდგა, ცოტა დავიღალეთ კიდეც, მაგრამ „ელ კლასიკომდე“ ძალებს აუცილებლად აღვიდგენთ. ჩვენი გუნდი უკვე შეეჩვია ასეთ ტემპში თამაშს, როცა კვირაში ორი მატჩის ჩატარება გვიწევს, — განაცხადა მესიმ.

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა კატალონიური კლუბის მეკარე ვიქტორ ვალდესმაც.

— გასვლით მატჩში გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი იყო. ბევრს საუბრობდნენ, რომ სტუმრად ძალიან ბევრ ქულას ვკარგავთ. არადა, ჩვენ „ბარსელონას“ წარმოვადგენთ და ყოველთვის ყველგან უნდა ვიბრძოლოთ. რაც შემეხება პირადად მე, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ“, — განაცხადა ვალდესმა.

მ. ჟ.

## ნინო ზაუტაშვილმა დირიჟორობა დაიწყო



„სამოთხის ვაშლების“ წამყვანმა ნინო ზაუტაშვილმა დირიჟორობა დაიწყო. ამ ყველაფრისკენ მას პროექტმა „მაესტრომ“ უბიძგა. ორთვიანი უწყვეტი მარათონი საუკეთესო მაესტროს გამოსავლენად დასრულდა. „მაესტრო“ ბიბისის ანალოგია და მასში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანები ორკესტრს დირიჟორობენ. პროექტ „მაესტროს“ გამარჯვებული ნინო ზაუტაშვილი გახდა. მან სუპერფინალში ლევან ვეფხვაძეს მოუგო. ტელეწამყვანი საუკეთესოდ უშუალოდ ორკესტრმა დაასახელა. გამარჯვებულს ფულადი პრიზი და დირიჟორის ოქროს ჯოხი გადაეცა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ნინო ზაუტაშვილი 2012 წლის „მაესტროს“ ტიტულის მფლობელია.

რიგით პირველ პროექტში რვა კანდიდატი მონაწილეობდა – რეჟისორი და მსახიობი გოჩა კაპანაძე, პარლამენტარები ლევან ვეფხვაძე, ხათუნა გოგორიშვილი და გოგიტა გეგელაშვილი, მსახიობები ნანული სარაჯიშვილი და ონისე ონიანი, მუსიკოსი მერაბ სანოძე, იგივე სანო და ტელეწამყვანი ნინო ზაუტაშვილი. თითოეულ მათგანს ჰყავდა პედაგოგი, რომელთანაც კონკურსანტები დღეში ოთხ-ოთხ საათს მეცადინეობდნენ. კონკურსანტებმა პედაგოგებიც კენჭისყრის შედეგად აირჩიეს, ისევე როგორც შესასწავლი და შესასრულებელი ნაწარმოებები.

გაგრძელება მე-8 გვერდზე


# 18 იანვრიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-18 ტომი

# ამუნდსენი

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. შტატი აშშ-ში; 5. მიუნჰენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. მე-17 საუკუნის ესპანელი მხატვარი; 9. წყალქვეშა ნავის ძველებური სახელწოდება; 13. ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში; 15. კუბის დედაქალაქი; 16. სომხური ცეკვა; 18. ცხოველი აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად:** 4. ბნელი, ჭუჭყიანი საკანი, საპატიმრო; 6. ფრანგი მწერალი ქალის, ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. რაიმე მოვლენის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი, სენსაცია; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი აჭარაში; 14. აეროპორტი ჩიკაგოში; 17. ხის ზედა, განტოტვილი ნაწილი; 19. მტაცებელი ფრინველი; 20. ბრინჯულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 21. ადამიანის ბიოველი; 22. ფრანგული ვაშლის არაყი; 23. სამრეწველო რაიონი უკრაინაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




ეროვნული ბიბლიოთეკა